საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაგზე ესაძაგლესია.

ოთხშაბათი, 28 სექტემბერი. 2022 წ. №153 (9491) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ეტიმური კატასტროფის წინ...

8

საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის... რუსმა!..

ჰუტინის თვითმკვლელობა და ოუსეთის მკვლელობა!!!

„დავიღუპეთ“! ნაცები მართლა იშლებიან!

<u>გიორგი ამილახვარი:</u> შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაშლის პირასაა და შემდეგ არჩევნებზე პოლიტიკური რადარებიდან გაქრება!

4

<u>გიორგი მუმლაძე:</u> ნიკა მელია არის ლაჩარი, რომელიც ეფარება დასვას და ისე ეგლატავება ხალხს!

<u>თაკო ჩარკვიანი:</u> ძალიან ბევრჯერ ვთქვი, არ მომწონს ნიკა მელიას პროწიალი და პიპინ-პიპინით სიარული...

ხელისუფლება ქუჩაში გდია და არავინ ილებს, ③

ანუ სანამ მთელ ქვეყანას ცეცხლი წაჰკიდებია!

იერუსალიმიდან იერუსალიმში... კავკასიის გავლით

საქართველოში ბიბლიური ტურისტული მარშრუტი ამოქმედდება

25 სექტემბერს, ებრაულ ახალ წელს, „ისრაელის სახლმა“ თბილისში, სასტუმრო „ბილტმორში“ ფართო საზოგადოებას ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ბიბლიური მარშრუტი წარუდგინა.

სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტში ისრაელის ქნესეთთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი გივი მიქანაძე, ტურიზმის ადმინისტრაციისა და საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლები, ისრაელელი ბიზნესმენები, ტურისტული კომპანიები, სტუდენტები, ლექტორები, ებრაული ორგანიზაციები და მედია.

მარშრუტი შეთანხმებულია ევროსაბჭოს ეგიდით მოქმედი ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპულ ასოციაციასთან (AEPJ), მარშრუტის ძირითადი, კავკასიის მიმართულება კი ევროკავშირის პროგრამის ნაწილია.

ისრაელის სახლის ხელმძღვანელის იციკ მოშეს თქმით, ეს არის სრულიად ახალი მარშრუტი, რომელიც იწყება იერუსალიმში და კავკასიის – საქართველოს და აზერბაიჯანის გავლით მთავრდება იერუსალიმში, ჰერცელის მთაზე. მასში საქართველოს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი; **ვიზიტორები ეწვევიან მცხეთას, თბილისს, ონს, ლაილაშს, ახალციხეს, ქუთაისს, კულაშს და სხვა ადგილებს. ბიბლიური მარშრუტი გათვლილია ახალ სეგმენტზე. ის მოიზიდავს ისრაელისა და მსოფლიო ებრაელობის ახალ ნაკადს. დღევანდელი წარდგინება კი საბოლოოდ ემსახურება საქართველო-ისრაელის და მსოფლიო ებრაელობის კავშირების კიდევ უფრო გაღრმავებას.**

პარლამენტში ისრაელის ქნესეთთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის გივი მიქანაძის თქმით, „ისრაელის სახლის“ მიერ შემუშავებული ბიბლიური მარშრუტის პრეზენტაცია იგეგმება ევროპის ქალაქებში, ეს კი კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მისცემს მსოფლიო ებრაელობას, დაინტერესდნენ და გაიარონ ეს მარშრუტი. იგი 7-დღიანი იქნება და აქედან რამდენიმე დღე საქართველოში ებრაულ კულტურულ მემკვიდრეობას დაეთმობა.

7 ნოემბერს დაგეგმილია ბიბლიური მარშრუტის პრეზენტაცია იერუსალიმში, ხოლო 18 დეკემბერს, ხანუქას, ისრაელის კვირეულის ფარგლებში, მარშრუტს პირველი მონაწილეები გაივლიან.

ოტია სარჩიმელია

ცხოვრების გზა – სამშობლოსთან ერთად

7

შრომის, ბრძოლის, სიყვარულის 75 წელი

ირაკლი ღარიბაშვილი: პროკურატურის სისტემის განვითარება ჩვენი გუნდის, „ოცნების“ უცვლელი პრიორიტეტია

მსოფლიოს 60 ქვეყნის 300 პროკურორი თბილისში!

...მსურს განსაკუთრებით მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს — პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს ჩოელ კიუ ვანგს, გენერალურ მდივანს ჰან მორაალს, ევროჯასტის პრეზიდენტს, ბატონ ლადისლავ ჰამრანს, გაეროს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მოადგილეს, ქალბატონ ნაჟატ შამემ ხანს და ძალიან ბევრი ქვეყნის პროკურატურების ხელმძღვანელებს, მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალებსა და მაღალი დონის ექსპერტებს მთელი მსოფლიოდან. კონფერენციის სათაური — „გლობალური მოვლენები, რომლებმაც შეცვალეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები“, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა რთულ, გამოწვევებით სავსე დროში გვიწევს ცხოვრება და საქმიანობა. კორონავირუსის პანდემიით განპირობებული სირთულეების, ახლა უკრაინაში ომი, ევროპის კონტინენტზე საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე საფრთხეების, ასევე ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ დანაშაულთა, მათ შორის, კრიპტოვალუტის მეშვეობით ფულის გათეთრების თუ კიბერდანაშაულის მზარდი მასშტაბების პირისპირ აშკარაა, რომ დღეს მსოფლიო განახლების რთულ პროცესს გადის; უფრო სამართლიანი, დემოკრატიული, მშვიდობიანი საერთაშორისო საზოგადოების მშენებლობაში სამართალდამცავ ორგანოთა მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იქნება ეს ეროვნულ დონეზე თუ საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში. პროკურატურის სისტემის განვითარება ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენი უცვლელი პრიორიტეტია. ჩვენს დროს პროკურატურის დამოუკიდებლობა ქვეყნის უზენაესი კანონით — კონსტიტუციით იქნა აღიარებული და სრულად დამოუკიდებელ ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. მასშტაბური რეფორმების შედეგად საქართველოს პროკურატურა ეფექტიან, ანგარიშვალდებულ და გამჭვირვალე ინსტიტუციად ჩამოყალიბდა და, ამასთან, მუდმივად ვითარდება. მე მინდა, ჩვენს გენერალურ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს და მის პროფესიონალთა გუნდს მადლობა გადავუხადო“, — აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერის თქმით, ტრანსფორმაციაში უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო პარტნიორების მუდმივი თანადგომა, როგორიცაა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია.

„რა თქმა უნდა, ამ ტრანსფორმაციაში უმნიშვნელოვანესია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მუდმივი თანადგომა, თქვენი თანადგომა. განსაკუთრებით ვაფასებთ ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას, როგორიცაა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია. 180-ზე მეტი ქვეყნის უწყებებთან თუ ინდივიდუალურ წევრებთან თანამშრომლობა, ერთი მხრივ, არსებითია ჩვენი პროკურატურის შემდგომი სრულყოფისათვის, განვითარებისთვის და, ამავდროულად, გვჯერა, რომ თავადაც მნიშვნელოვან როლს ვთამაშობთ სამართლიანი და დემოკრატიული მსოფლიოს მშენებლობაში. მიმდინარე კონფერენციით და ამ დღეებში დაგეგმილი ღონისძიებებით, მათ შორის,საქართველოს პროკურატურასა და ევროკავშირის პროკურატურას შორის სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმების გაფორმებით კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ჩვენი საერთო მიზნებისაკენ. დაბოლოს, მსურს მადლობა გადავუხადო ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტს მსოფლიო კონფერენციის მასპინძლად საქართველოს პროკურატურის დასახელებისთვის. ეს ჩვენთვის დიდი პატივია. ჩვენ ამას აღვიქვამთ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებისა და ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვან აღიარებად. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც დიდი ძალისხმევა გასწია კონფერენციის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ჩვენი მთავრობის სახელით გპირდებით, რომ მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციასთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად. წარმატებულ და ნაყოფიერ სამუშაო დღეებს გისურვებთ. დიდი მადლობა!“ — დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს აგრეთვე სიტყვით მიმართეს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ და პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა ჩოელ კიუ ვანგმა. ღონისძიებას 60 ქვეყნის 300 პროკურორი და გაეროს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლები და აღნიშნულ სფეროში მომუშავე მაღალი დონის ექსპერტები ესწრებიან. ქვეყნის და საქართველოს პროკურატურის ისტორიაში თბილისი ყოველწლიურ კონფერენციას პირველად მასპინძლობს. პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია (IAP) 1995 წელს დაარსდა და ასოციაციის წევრია 183 პროკურატურის ორგანო 177 ქვეყნიდან.

30 ლარიც მიზერულია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, 25 სექტემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო ცვლილება მთავრობის დადგენილებაში, რომელიც სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების გაზრდას ეხება. კერძოდ, იზრდება ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა არსებული 15 ლარიდან 30 ლარამდე, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, არსებული რეალობის გათვალისწინებით. ცვლილების შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მივლინებისას სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების დღევანდელ რეალობასთან მაქსიმალურად შესაბამისობა.

განახლებული ნორმებით იხელმძღვანელებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორი, რომლისთვისაც ანალოგიური ნორმები დადგინდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, — აღნიშნულია მთავრობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჰარვარდელი წამყვანი პროფესორები ქუთაისის ადრონული თერაპიის ცენტრის სამეცნიერო-კვლევით პროცესში ერთვებიან

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტით მყოფმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ჰარვარდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორებთან თომას ბორტფელდთან და ბენჯამინ კლასისთან გამართა შეხვედრა. მხარეებმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადრონული თერაპიის ცენტრის სამეცნიერო-კვლევით პროცესში ჰარვარდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის წამყვანი პროფესორების ჩართულობის საკითხები განიხილეს.

ამერიკელ პროფესორებთან შეხვედრისას მიხეილ ჩხენკელმა განათლების სისტემის მეგა-პროექტის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ ისაუბრა. მინისტრის თქმით, უნივერსიტეტის იდეისა და კონცეფციის ავტორი ბატონი ბიძინა ივანიშვილია. სწორედ მისი და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შედეგად ქვეყანაში გაჩნდა მსოფლიო მასშტაბის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სივრცე.

მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ადრონული თერაპიის ცენტრის პროექტზე, რომელიც სწორედ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით შენდება. ადრონული თერაპიის ცენტრის მშენებლობის დაწყების საზეიმო ღონისძიება 2022 წლის 5 ივლისს გაიმართა. ცენტრში ონკოლოგიისა და პროტონული თერაპიის მიმართულებით კვლევების წარმოების პროცესში საერთაშორისო სამეცნიერო წრეები ჩაერთვებიან.

სამეცნიერო-კვლევითი პროცესისთვის ადრონული თერაპიის ცენტრის ულტრათანამედროვე ციკლოტრონები სიმსივნური დაავადებების პროტონული თერაპიის აპარატურის მწარმოებელ მსოფლიოს წამყვან კომპანიაში (IBA) უკვე აეწყო. აღსანიშნავია, რომ ერთი ციკლოტრონი მთლიანად განკუთვნილი იქნება სამეცნიერო-კვლევითი პროცესისთვის სამედიცინო და ბირთვულ ფიზიკაში, ხოლო მეორე მოხმარდება სიმსივნის მკურნალობას. ის ფაქტი, რომ ერთი ციკლოტრონი მთლიანად კვლევისთვის იქნება განკუთვნილი, განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან.

რუსეთის უსაფრთხოება ზემო ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე კონტროლს აძლიერებს

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური ადასტურებს გავრცელებულ ცნობას, რომ ზემო ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმართულებით ჯავშანტრანსპორტიორი მიემართება, რომელიც საზღვარზე წესრიგის უზრუნველსაყოფად არის გამიზნული.

„ჯავშანტრანსპორტიორი იქ მიემართება. ის მიდის არა ბლოკ-პოსტების მოსაწყობად, არამედ, უხეშად რომ ვთქვათ, რეზერვია გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის, თუ რეზერვისტები მოინდომებენ გამშვები პუნქტის გარღვევას და ქვეყნის ყოველგვარი სასაზღვრო ფორმალობების გარეშე დატოვებას. არავითარი ბლოკ-პოსტების განთავსებას არ ვაპირებთ.

საკონტროლო გამშვები პუნქტი საშტატო რეჟიმში მუშაობს, არავითარი შეზღუდვა მამრობითი სქესის გაწვევის ასაკის მოქალაქეთა გასვლაზე არ შემოღებულა“, — აცხადებს რუსეთის სასაზღვრო სამმართველოს თანამშრომელი. ამასთან, როგორც „ბიბისი“ წერს, რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, აქტიურად ვრცელდება ხმები, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა, საომარი მდგომარეობა გამოაცხადოს და საზღვრები დახუროს.

ყველა საბაჟო გამშვები პუნქტი გადასულია მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე

რეგიონში გაზრდილი სატრანსპორტო ტვირთნაკადის პირობებში, ყველა საბაჟო გამშვები პუნქტი გადასულია მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე, — ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„ამასთან, საბაჟო კონტროლის პროცედურების 24-საათიან რეჟიმში, შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საქართველოს მასშტაბით არსებულ გამშვებ პუნქტზე გაზრდილია მებაჟე ოფიცრების რაოდენობა. აქვე განვმარტავთ, რომ რუსეთის ფედერაციის მხარეს „ლარსის“ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, ნაწილობრივ შეფერხებულია, საქართველოდან (საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“) გასული სატვირთო ავტომობილების მიმართ საბაჟო კონტროლის პროცედურები.

გაზრდილი საერთაშორისო ტვირთბრუნვის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის ფარგლებში, შემოსავლების სამსახური ინტენსიურ კომუნიკაციაში იმყოფება მეზობელი ქვეყნების — თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების, შესაბამის საბაჟო ადმინისტრაციებთან, რათა სწრაფად გამოიძებნოს ალტერნატიული საბაჟო გამშვები პუნქტები დანიშნულების ქვეყნებში მოხვედრისთვის“, — აღნიშნულია განცხადებაში.



ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲦᲔᲑᲡ,

ᲐᲜᲣ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲗᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲬᲐᲰᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐ!

ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐ: ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲒᲝᲒᲠᲐᲨᲘ, ᲘᲫᲜᲔᲑᲘ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲚᲔᲠᲬᲐᲛᲨᲘ, ᲘᲫᲜᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲓᲘ�კᲐᲚᲣᲠᲘ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲒᲝᲒᲠᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘᲐ. ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲧᲝᲤᲘᲗ, ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ, ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲗ, ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ. ᲓᲐ, ᲗᲣ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲨᲔᲡᲬᲛᲣᲚᲝᲑᲐᲓ ᲛᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲡ ᲐᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲗᲕᲐᲚᲜᲐᲗᲚᲘᲕ ᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲨᲕᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲒᲐᲠᲔᲓᲒᲜᲣᲚᲐᲓᲐᲪ...

ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ, ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲔᲑᲘᲪ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲙᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲨᲘ ᲒᲕᲐᲠᲒᲘᲐ? ᲒᲘᲜᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲣᲐᲠᲔ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘ, ᲒᲘᲜᲓᲐ — ᲘᲡᲔ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘᲐ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲚᲝᲛᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲧᲝᲤᲘᲗ, ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ, ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲗ, ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲮᲔᲓᲐᲕ თუ არა, მაშინვე ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲬᲐᲙᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ — ᲨᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ.

ᲔᲡ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲠᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ — ᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ, ᲔᲠᲗ ᲑᲖᲐᲠᲡ, ᲐᲜᲣ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲣᲞᲝᲕᲘ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲕᲘᲗᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲑᲚᲣᲯᲐ-ᲑᲚᲣᲯᲐ ᲐᲡᲓᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ, ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲥᲕᲔᲑᲘ.

ᲐᲠ ᲓᲐᲘᲯᲔᲠᲝᲗ! ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲑᲚᲔᲤᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲧᲣᲘᲚᲘᲐ, ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲕᲘᲚᲝᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲝᲧᲠᲐᲜᲢᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲠᲝᲓᲘᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲐᲘ, ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, ᲛᲓᲣᲦᲐᲠᲔ 1992 ᲬᲔᲚᲡ „ᲡᲐᲮᲛᲨᲔᲜᲨᲘ“ ᲔᲠᲗᲗᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲔᲡ „�გᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ“ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ: ᲓᲐᲕᲐᲜᲒᲠᲘᲝᲗ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲘᲐᲜᲘᲐ, ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲓᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲓᲒᲐᲡᲝ! რამდენი ᲐᲡᲔᲗᲘ „ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ“, ᲯᲔᲠ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲘᲨᲕᲐ ᲐᲛ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲪᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲢᲕᲘᲜᲨᲘ, თუნდაც ამ ᲑᲝᲚᲝ თვეების მანძილზე, როცა მან (Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛᲗ) ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲦᲐᲢᲐᲙᲘᲗ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲬᲠᲝ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲨᲐᲕᲠᲐᲖᲛᲔᲚᲡ — ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ. ᲡᲐᲓᲦᲐᲒ ᲩᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ ᲛᲘᲮᲘᲔᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲩᲐᲡᲛᲘᲡ შემდეგ, ᲘᲡ ᲗᲐᲛᲠᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲗᲐᲮᲡᲘᲠᲓᲐ. ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲣᲜᲐᲛᲣᲡᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲪᲣᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲩᲥᲐᲠᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲠᲝᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲘᲕᲐᲜᲘᲨᲜᲔ, ᲛᲐᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲘᲛᲔᲓᲝ ᲝᲠᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲯᲐᲤᲡᲐᲜᲓᲐᲚᲛᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲨᲔᲛᲧᲣᲠᲔ, ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲡᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ“, სამთავა (ᲛᲐᲛᲣᲯᲐᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ-ᲑᲐᲓᲠᲘᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ-ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ) „ᲚᲔᲚᲝ“, ᲜᲐᲠᲙᲣᲨᲐ „ᲒᲘᲠᲩᲘ“ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲙᲐᲪᲐ „ᲓᲠᲝᲐ“. ᲝᲚᲝᲜᲓ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ, ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲪᲓᲘᲓᲐᲜᲐᲪ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲣᲯᲛᲐᲯᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲒᲐ.

ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲮᲔᲠᲮᲐᲕᲓᲔᲡ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐ ᲣᲭᲘᲠᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲐᲦᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ



სკანდალი მწიფდება, რომლის მთავარი მოქმედი პირიც მისი თავმჯდომარე ნიკა მელია გახლავთ. ამ კაცმა, როგორც საერთოდ სჩვევია, ერთი ისეთი იაღლიშური განცხადება გააკეთა, რამაც შეიძლება პარტია ხერხემალში გადატეხოს. ნიკამ ჯერ რქები მოუღერა, შემდეგ კი განგმირავად ურქინა დავით კეზერაშვილს, პარტიისთვის ფრიად ამაგდარ კაცს, მიშა სააკაშვილის პროტეჟესა და პირის ზიარებას, ისე კი ყაჩაღსა და ჯიბგირს, თავდაცვის მინისტრად ყოფნისას სამინისტროს ძირ-ძირობამდე გაძარცვას რომ ედავებიან, შემდეგ კი, როცა მთელი „მჭადი“ ხელში ჩაიგდო, პარტიას იქიდან „პეტერე ჩამოუფურჩხნა“ — ტელეკობრა „ფორმულა“ დააფუძნა და ნაცებში დიდი ქველმოქმედის სახელი დაიგდო. აი, ამ კეზერაზე ნიკამ მოკლედ და შთამბეჭდავად მოჭრა ტელეინტერვიუში, სჯობს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ მისთვის და, რაღა თქმა უნდა, ქვეყნისთვისაც, თუ პოლიტიკას სათოფეზე არ გაეკარებაო. არადა, ამ ეშმაკისფეხ კეზერას ბევრი მომხრე და გულშემატკივარი ჰყავს. ᲰᲝᲓᲐ, ᲩᲐᲕᲣᲯᲓᲔᲗ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲧᲣᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲗ!..

* * *

ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲛᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲛᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲡᲙᲐᲓᲣᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲨᲚᲐ ᲣᲬᲝᲓᲔᲡ.

ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲛ ᲔᲘᲤᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝᲠᲔ ᲐᲨᲨ-Ს ᲛᲘᲠ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲛᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲞᲔᲜᲢᲐ�გᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲛᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, თუ რუსეთი ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ. „ᲜᲣ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ ᲐᲛᲐᲡ, ᲜᲣ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ ᲐᲛᲐᲡ...“ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ-ᲛᲣᲫᲐᲠᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲛᲐ.

ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲝᲛᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲩᲐᲜᲡ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲣᲠᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ მოლაპარაკება.

„ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲓᲐ ᲜᲣ ᲐᲠᲘᲡ, ᲯᲔᲠ ᲩᲕᲔᲜ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ — ᲐᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲗ ᲕᲝᲛᲝᲑᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲕᲬᲘᲚᲐᲠᲝᲑᲗ“, ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲢᲔᲑᲡ, „ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ“ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐᲝ.

ᲝᲠᲘᲕᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲘᲮᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲐ. ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ — ᲐᲨᲨ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲐ, ᲐᲜᲣ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲨᲔᲯᲔᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ, თუ როგორი უკრაინისა და რუსეთის ᲮᲘᲚᲕᲐ ᲡᲣᲠᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ, ᲘᲒᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ �გᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲤᲘᲮᲕᲔᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲧᲔᲕᲐᲡ, თუმცა, ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ �გᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲖᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲖᲔ (ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ).

**ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲫ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜ ᲛᲔᲢ ᲡᲘᲯᲘᲣᲢᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲔᲜᲡ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲑᲝᲒᲘᲠᲖᲔ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲠᲫᲔᲑᲛᲘᲒᲯᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲗᲮᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲐᲚ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲝᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲬᲐᲠᲝ ᲑᲝᲒᲘᲠᲖᲔ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲔᲪᲘ. ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲢᲘᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲛᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲒᲐ.

ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲨᲔᲘᲠᲧᲐ ᲠᲣᲡᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲝᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲨᲔᲘᲠᲧᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ „ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ“ ᲕᲐᲚᲡ ᲘᲮᲓᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ. ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲐᲜᲣ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲠᲣᲚᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜ ᲝᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲐ, ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲛ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ.

ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲗ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ, ᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ, — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲜ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲔᲡ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲐ.

**„ᲕᲔᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ,

„დავიღუპეთ“! ნაცები მართლა იშლებიან!

ნანუკა ჟორჟოლიანი აბობოქრდა

„ბოლოს რა გამოიძია შენმა ახალმა სამსახურმა ხაბე და საიდან ფინანსდება ეგ საგამოძიებო?“, — ასე მიმართავს ტელეწამყვანი **ნანუკა ჟორჟოლიანი,** საკუთარი Facebook-სტატუსის კომენტარებში, **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ლევან ხაბეიშვილს, რომელიც, ნინო ჯობავას, ვარკეთილში, ნაქირავებ ბინაში 31-ე ქარხნის გამათბობელზე დაბმით ემუქრება.**

როგორც ხაბეიშვილი აღნიშნავს, **ნებისმიერ ადამიანს უპასუხებს, რომელიც მას ტალახს ესვრის და განმარტავს, რომ გამათბობელზე დაბმაც არ არის პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვამი. ჟორჟოლიანი მას მოუწოდებს, კიდევ ერთხელ, კითხვაზე პასუხის გაცემისკენ, თუ საიდან ფინანსდება. იქამდე, ნინო ჯობავამ ხაბეიშვილს „კეზერაშვილის კასირი“ უწოდა.**

ამასთან ნანუკა ჟორჟოლიანი აღნიშნავს, რომ **„ფაზლები დალაგდა. ახლა უკვე ვსვდები გადამწყვეტ მომენტში რატომ ორთქლდებოდა ყველა, ვინც მნიშვნელოვანი იყო მიშას თავისუფლებისთვის ბრძოლაში. შინაური და ძალიან შინაური, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ტელეფონებს რომ აღარ იღებდნენ.**

განა არ ვიცოდი, უბრალოდ ასეთი გულისამრევიც არ მეგონა რეალობა.

აუცილებლად მოვყვები სახელებით და გვარებით როგორ გაიპარნენ ბრძოლის ველიდან ეს სამარცხვინოები და როგორ გამომიცხადეს რუსთავის ციხე ჩვენი პრიორიტეტი არაა მიშას შიმშილობის 30-ე დღეს! ეს უსირცხვილო „კასირები“ ესენი.

ვითომ გამოძიებები რომ დაიწყეს ქვეყნის გადარჩენის მოტივებით და სინამდვილეში მიშას ბრძოლიდან რომ გაიძურწნენ!

ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენენ გამყიდველები და კომფორმისტები (ყველას არ ვგულისხმობ რა თქმა უნდა, ამ პარტიაში ბევრი ღირსეული და იდეალების ერთგული ადამიანიცაა) რომლებმაც მიშა სააკაშვილი თვეში სულ რაღაც 15 ათასში გაცვალეს. ფულში და კარგ ცხოვრებაში!“

გიორგი მუმლაძე: ნიკა მელია არის ლაჩარი, რომელიც ეფარება დაცვას და ისე ებლატავება ხალხს

„ნაციონალური მოძრაობა“ პარტიაში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მოძრაობა „საქართველოსთვის“ აქტივისტი გიორგი მუმლაძე ნიკა მელიას სამუშაო ოთახში შეიჭრა და შეურაცხმყოფელი, ქუჩური ტერმინოლოგიით სცადა პროვოკაციის მოწყობა, რაც პარტიის წევრებმა აღკვეთეს.

„რამდენიმე კვირის წინ პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელიამ საზოგადოებას წარუდგინა ოლიგარქ ივანიშვილის დამარცხების კონკრეტული გეგმა და სტრატეგია. ამ მიზნით, პარტიამ გააააქტიურა ორგანიზაციული რეფორმები და გადადგა კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯები. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ერთიანობა, კონსოლიდაცია და აღნიშნულ გეგმაზე სრული კონცენტრირება. ამ ფონზე, გარკვეული ადამიანების მცირე ჯგუფის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციისა და დესტრუქციული ნაბიჯების გამო გვიხდება ამ განცხადების გაკეთება, რაც სხვა შემთხვევაში ჩვენთვის არ იქნებოდა პრიორიტეტული“, — ნათქვამია განცადებაში

ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, რომ გიორგი მუმლაძის ხმა ამოიცნეს საპროტესტო აქტივობებში ჩართულ ადამიანში. ნაციონალებმა მას სუსის მიერ ჩანერგილი უწოდეს.

„შედგა საუბარი პარტიის გენერალურ მდივანსა და იმ ადამიანს შორის, ვისთან მიმართებაშიც კითხვები არსებობდა. საუბრის შემდეგ საკითხი ამოიწურა და კითხვის ნიშნები მოიხსნა. მოგვიანებით ამ პირების ნაწილის სურვილით პარტიის თავმჯდომარე საკუთარ სამუშაო ოთახში მშვიდ ვითარებაში ხვდებოდა ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელს, რა დროსაც იქ შეიჭრა გიორგი მუმლაძე თანმხლებ პირებთან ერთად. მან შეურაცხმყოფელი, ქუჩური ტერმინოლოგიით სცადა პროვოკაციის მოწყობა. ბუნებრივია, პარტიაში მყოფმა პარტიის წევრებმა აღკვეთეს მათი მცდელობა და ეს ადამიანები ოფისიდან გაყვანილ იქნენ.

უფრო მეტიც, რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ნიკა მელია საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკურ გადაცემაში პირდაპირ ეთერში პასუხობდა ჟურნალისტის კითხვებს, გიორგი მუმლაძე ჯგუფთან ერთად, პროვოკაციის მოწყობის მიზნით განზრახ მივიდა ტელევიზიასთან და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ნიკა მელიას მძღოლს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალურ შესასვლელში მყოფი მაუწყებლის და დაცვის პოლიციის თანამშრომლების თანდასწრებით“, აცხადებენ ნაციონალები და ამატებენ, რომ „ამ ვითარებაში, მთავარი აქცენტი ივანიშვილის რეჟიმის საბოლოო დამარცხებაზე უნდა გაკეთდეს. ჩვენ არ უნდა შევუწყოთ ხელი „რუსული ოცნების“ სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მთავარ ოპოზიციურ პარტიაში დაპირისპირებისა და შიდა განხეთქილების განცდის შექმნას.



რიგ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს განსხვავებული პოზიციები, რაზეც დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე პარტიაში დისკუსია საჯაროდ მიმდინარეობს. ეს ჩვენი არჩევანია, რადგან ანგარიშვალდებულად ვგრძნობთ თავს ჩვენს ამომრჩეველთან.

ამასთან, პარტიის ოფისში დაპირისპირების შესახებ გიორგი მუმლაძემ ფეისბუქლაივის დროს ისაუბრა. ის ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში ფიზიკური დაპირისპირება ნამდვილად მოხდა. ასევე აღნიშნა, რომ პარტიის ერთ-ერთი ხელფასიანი თანამშრომელი თენგო სანაია მას „შუბლის გახვრეტით“ დაემუქრა. მუმლაძემ ისაუბრა ნიკა მელიაზეც:

„რაც შეეხება უშუალოდ ნიკა მელიას და მის როლს, მისი როლი იყო წარმოუდგენლად ცუდი, რადგან ნაცვლად იმისა, რომ ამ პროცესში მედიატორის როლი ეთამაშა, ეს არ გააკეთა. რაღაც მომენტში პირიქით, წამახალისებელი იყო ამ დაპირისპირების. ის ხალხი, ვინც მონაწილეობდა ამ ჩხუბში, არიან ლაჩრები, პირდაპირ ვეტყვი. ხალხი, რომელიც მშიშრები არიან, პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ ასეთ ხალხთან ერთად რაიმე ბრძოლას ჰქონდეს აზრი, რადგან სუსტ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გადათელვა სიამოვნებას რომ განიჭებს და წახალისებას ახდენ, მათ შორის ეს ეხება ნიკა მელიასაც, პირდაპირ ვასახელებ მას. ეს ადამიანი არის ჩვეულებრივი ლაჩარი, რომელიც აფარებული არის დაცვას და ისე ებლატავება ხალხს. არის ლაჩარი და სადაც შემხვდება, სათანადო პასუხს გავცემ, სიტყვით, პირველ რიგში და თუ რამე იქნება საჭირო, თავს დავიცავ და ასე შემდეგ“, — აღნიშნა გიორგი მუმლაძემ.

გიორგი ამილახვარი: შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაშლის პირასაა და შემდეგ არჩევნებზე პოლიტიკური რადარებიდან გაქრება!

„ეს პარტია არა მხოლოდ დაკავებულია სახელმწიფოსთან ბრძოლასა და სახელმწიფო ინსტიტუტების რყევაში, არამედ უკვე შიგნით რამდენიმე დაჯგუფება, სააკაშვილის, მელიასი თუ კეზერაშვილის, ერთმანეთს უპირისპირდება და უკვე პარტიისთვის იბრძვიან. პრაქტიკულად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ დაშლის პირასაა, შემდეგ არჩევნებზე პარტია პოლიტიკური რადარებიდან საერთოდ გაქრება“, — განაცხადა ამილახვარმა.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ შიდა დაპირისპირებაა. ამის შესახებ პარტიის წევრები, აქტივისტები და მხარდამჭერები ღიად საუბრობენ. მათ შორისაა გიორგი მუმლაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ ნიკა მელიასთან სასაუბროდ მისულს მელიას პირადი დაცვა ფიზიკურად გაუსწორდა. ორად გაყოფილი პარტიიდან ნაწილი თავმჯდომარეს უპირისპირდება მეორე კი აცხადებს, რომ დავით კეზერაშვილი საკუთარი ფინანსებით პარტიის ჩამოშლას ცდილობს“, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გიორგი ამილახვარმა.

თაკო ჩარკვიანი: ძალიან ბევრჯერ ვთქვი, არ მომწონს ამ ბიჭის პროწიალი და პიპინ-პიპინით სიარული...

მუდმივად მქონდა ნიკა მელიასთან პრეტენზიები. **სულ ვამბობ, რომ ეს ადამიანი ან ვერ არის ლიდერი, ან შეგნებულად მოიყვანა სტაგნაციაში პროცესი. ძალიან ბევრჯერ ვთქვი, არ მომწონს მე ამ ბიჭის პროწიალი და პიპინ-პიპინით სიარული-მეთქი,** — ამის შესახებ „კანონი და სამართლის“ ლიდერმა თაკო ჩარკვიანმა საქართველოს პირველ არხს განუცხადა.

მისივე თქმით, ნიკა მელიამ 29-პროცენტიანი პარტია რვა პროცენტამდე დაიყვანა. როგორც ჩარკვიანმა საქართველოს პირველ არხს განუცხადა, გულშემატკივრობს „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც დასავლური ვექტორის მქონე მსხვილ ოპოზიციურ პარტიას.

„ვისთანაც იყო დაპირისპირება, მან თავად აღიარა გუშინ. ლაივი ჰქონდა მუმლაძეს ჩართული და პირდაპირ თქვა, რომ ფიზიკურად გამისწორდნენო. ნიკა მელიას განცხადებას არც ერთი მხარე არ აქვს, რითიც შეიძლება, გაამართლო. თუ პოლიტიკას გამოაცლი მორალს, საერთოდ არაფერი არ შეგრჩება და შეგრჩება ის წუმპე, რომელშიც 30 წელია, საქართველოს ამყოფებენ ზუსტად იმ ტიპის პოლიტიკოსები, რომლებიც აცლიან მორალს პოლიტიკას. შეუძლებელია ასე, მორალგამოცლილი პოლიტიკა ტალახია. ამის ძალიან წინააღმდეგი ვარ. როდის შეიტყო მან კეზერაშვილის ოლიგარქობის შესახებ, გუშინწინ? წავიკითხე მისი განცხადებები სულ რამდენიმე თვის წინ, როდესაც პარტნიორად მიიჩნევს მას. ეს საზიზღრობაა, არ შეიძლება. მე კი კეზერაშვილამდე, ერთი წლის განმავლობაში მუდმივად მქონდა მასთან პრეტენზიები, სულ ვამბობ, რომ ეს ადამიანი ან ვერ არის ლიდერი, ან შეგნებულად მოიყვანა სტაგნაციაში პროცესი, რაც კატასტროფა იყო“, — განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

კითხვაზე: ფიქრობთ, რომ საერთო ოპოზიციურ პროცესს აფერხებს „ნაციონალური მოძრაობა“ და კონკრეტულად ნიკა მელია, თაკო ჩარკვიანმა ასე უპასუხა: **„მე ვერაფრით ვერ დავარქმევ ნიკა მელიას და მის რამდენიმე მომხრეს ასე ცალსახად „ნაციონალურ მოძრაობას“. ლიდერები იცვლებიან, რა პრობლემაა, რომ თავმჯდომარე გამოცვალონ, რა არის აქ საოცარი. პარტია იმისია, რომ გამოცვალონ, თუკი ვერ შეასრულა რაღაც. ლიდერი, რომელმაც გაამეოთხედა შედეგი, 29 პროცენტიდან 8%-მდე, უძრაობაში მოიყვანა პარტია. მისი ლიდერი მძიმდება ციხეში და პარტია უმოძრაობაშია. აბა, რა არის ლიდერის მოქმედება სხვა“,** — აღნიშნა თაკო ჩარკვიანმა.

ცოდვილი გაუმაძღარნი

ფასდაკლების აქციები – მორიგი მახე მომხმარებლებისათვის?

„ლუარსაბი და დარეჯანი“. მხატვ. დიმიტრი ერისთავი.

ქრისტიანულ მცნებებს შორის „ნაყროვანებაც“ დასახელებულია ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვად და უზნეო საქციელად. „ნაყროვანება“ განიმარტება ასე: „გაუმაძღრობა“, „უზომოდ ჭამასმა და მუცლის ამოყორვა“; ხალხურად – „მუცლის გახეთქვა(!)“. ამ ბოლო განმარტებასთან დაკავშირებით ლუარსაბ თათქარიძის და კნეინა დარეჯანის გარდა მახსენდება დედოფლისწყაროელი ფშაველი სახალხო მთქმელის **იოსებ ბაიაშვილის** ლექსი **„ბაიაშვილ ავად გახდა“.** ამ ლექსთან დაკავშირებით ერთ ისტორიულ ფაქტს გავიხსენებ: 1979 წლის 14 აპრილს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტარდებოდა ხალხური პოეზიის პირველი საღამო, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა. გამოდის ამ საღამოს მთავარი ორგანიზატორი და წამყვანი ბატონი **ვახუშტი კოტეტიშვილი** და თავისი ჩახლეჩილი ხმით ამბობს შემდეგ ლექსს:

„ბაიაშვილ ავად გახდა,
მთვრალს შასცივდა წუხელისა,
უცხელებენ ნიორ-წყალსა, –
ეგ რა სნეულს უშველისა!
ნარეცხ მაინც მაუტანეთ
ნაარაყალ ჭურჭელისა!
მართამა თქვა (მეუღლემ):
დაიმეხოს
საქმეში ხელ-უყრელისა,
ზომა რაით ვერ გაიგო
მაგ გასახეთქ მუცელისა!
ავადმყოფმა ჩაიუბნა
სიბრძნე დიდი რუსთველისა:
„ისევ მაძღრივ სიკვდილი სჯობ,
ვიდრე – უსმელ-უჭმელისა!“

ბატონმა ვახუშტიმ თან დააყოლა: ამ გენიალური ლექსის ავტორი აქვე ზისო და სცენაზე წარადგინა. მთელი ფილარმონია ფეხზე ამდგარი ტაშით შეეგება მოლექსეს და ხუთი წუთი ტაში და სიცილი არ ჩამცხრალა (მეც სცენაზე ვიჯექი, ხალხურ მთქმელებს შორის, და ერთ-ერთი ხალხური (ფშაური) ლექსი მეც წავიკითხე).

ხუმრობა იქით იყოს და მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი „ნაყროვანების“ ცოდვაში მაინც „ბანაობს“. მოდით, ეს მცნება გავაფართოოთ და ბიზნესსაც რაღაც რაკურსით მივუსადაგოთ, რადგან ბიზნესის განვითრებაშიც არასწორ მიმართულებას, ფულის ხვეჭის „ნაყროვანებას“, ანუ „გაუმაძღრობას“ აქვს ადგილი! საყოველთაოდ ცნობილი და დამტკიცებულია, რომ დღეს მდიდრები უფრო მდიდრდებიან და ღარიბები უფრო ღარიბდებიან. კითხვას ვსვამ: **მდიდრები რატომ ისე არ მდიდრდებიან, რომ ღარიბები უფრო არ გაღარიბდნენ?** მაშასადამე, რაღაც არათანმიმდევრულობასთან, რაღაც უწესრიგობასთან (ფართო გაგებით), რაღაც არანორმალურობასთან და, ჩემი აზრით, სწორედ „გაუმაძღრობასთან“ გვაქვს საქმე! მარტო ამერიკაში 15 მილიონი მილიონერია, კიდევ რამდენია სხვა ქვეყნებში და ამ დროს მსოფლიოში რამდენი მილიონი ბავშვი შიმშილობს! **არ არის ეს კაცობრიობის სირცხვილი?** ამერიკაში მყოფ ერთ მუჭა მილიარდერებს და ტრილიონერებს(!) შემოუკრებიათ მთელი მსოფლიოდან მათსავით უზომოდ გამდიდრებული **მილიარდელი-ტრილიონერები** და საიდუმლოდ რაღაც მასონურ მსოფლიო მთავრობას ქმნიან (შექმნეს). თავისი უზნეო ძალაუფლების ბრჭყალებს უკვე აჩენენ კიდეც: ამერიკის და ევროპის რიგ ქვეყნებში **ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს** აკანონებენ. **არ არის ეს კაცობრიობის სირცხვილი?** (თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ულმერთოებს სირცხვილის გრძნობა ან საერთოდ არ აქვთ, ან ნაკლებად აწუხებთ. (განა ასეთი უსინდისონი არ არიან მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ჩვენი ნაცები და არასამთავრობოები?!)

ფულის მოხვეჭის (ანუ ფულით გაუმაძღრობის) ლოკალი დავავიწ�ოოთ და მხოლოდ საქართველოზე ვიმსჯელოთ. საწვავის უზომოდ გაძვირება განა თავისთავად არ მიუთითებს იმაზე, რომ ერთმანეთთან შეხმატკბილებული არიან საქართველოში მონოპოლისტი კომპანიები, მხოლოდ თავისი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ და ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ? ათას მიზეზს მოიდებენ ხოლმე, რომ ეს გაძვირება გაამართლონ! ესეც ბლეფი და ტყუილია! **სამწუხაროა, რომ ხელისუფლება მათთან „ბრძოლაში“ მაინცდამაინც დიდ შედეგებს ვერ აღწევს.** ასევე ითქმის ფარმაცევტული კომპანიებისგან ხალხის ფეხებზე დაკიდების ფაქტებზე, როცა წამლებს უსაშველოდ აძვირებენ. ბანკებიც, თურმე, წელიწადში მილიონებს აკეთებენ, როცა ლარის და დოლარის გაიაფება-გაძვირების ხელოვნურ მანიპულაციებს მიმართავენ.

ვისაც ვაჭრობასთან აქვს საქმე, ყველა თაღლითობს, ყველა უზომო მოგებაზე ფიქრობს, შემდეგ – უზომოდ გამდიდრებაზე, კომფორტული ცხოვრების მოწყობაზე და ა.შ. თითქოს ეს ბუნებრივიცაა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სიტყვა „უზომოდ“ მე შემთხვევით ზეზით ჩუმ-ჩუმად ფასებს ახლაც უწევენ მაღლა, მაგრამ ხშირად თვითონაც მახეში ებმებიან.

ხშირად დავდივარ მერიის შენობის პირველ სართულზე არსებულ უზარმაზარ მარკეტში. ეს მარკეტი ცნობილია როგორც პროდუქტების უსაშველოდ გამძვირებელი. ახლა კი იძულებულები არიან ფასდაკლების აქციები მოაწყონ უამრავ პროდუქტზე. ფასდაკლების აქცია იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის პროდუქტი ჩაწვა, აღარ იყიდება. **დავინტერესდი, მაინც რამდენს აკლებენ პროდუქტებს?** იქნებ პანდემიამდე არსებულ ფასებზე ჩამოყავთ, ან საგრძნობლად ამცირებენ? – თქვენც არ მომიკვდეთ! დაახლოებით ერთი ლარით, ან 2 ლარამდეა შემცირება! რაც ადრეული ფასის 10-15 პროცენტია! ღარიბი მოსახლეობა იმ შემცირებულ ფასიანსაც ვერ ყიდულობს, ისევ იმდენად ძვირია პროდუქტი. **ნუთუ არ შეუძლიათ ამ მარკეტინგის ხელმძღვანელობას, ისე გააიაფონ ეს პროდუქტები, რომ ღარიბებისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს?** არა, ასე არ უნდათ, ხალხი მათ, ფაქტიურად, ფეხებზე ჰკიდიათ. არადა, ზემოთ დასახელებულ მარკეტში ფანტასტიური გაძვირების გამო თავის დროზე უზარმაზარი მოგება ნახეს..

ასეც ხდება: პროდუქტებზე ფასს აუწევენ, შემდეგ დაუწევენ იმ აწეული ფასის 10-15%-ით და ხალხს ატყუებენ: გავაიაფეთო!

ასევე ითქმის ამ მარკეტის ქუჩის მოპირდაპირედ მდებარე „ნიკორას“ მარკეტზე, სადაც იძულებულნი არიან ფასდაკლების აქციები მოაწყონ. თუმცა ეს აქციები მაინც მახეა ღარიბი მომხმარებლებისათვის!

მოდი და ნუ გაგახსენდება „ქრისტიანული“ **ერთ-ერთი ცოდვა „ნაყროვანება“,** რომელიც ამჟამად მთელს მსოფლიოში მხოლოდ ბიოლოგიურ პროცესს კი არა, **„ფულით გაუმაძღრობასაც“ და მაშასადამე, სულით გაღარიბებასაც გულისხმობს!**

ასევე ითქმის საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში არსებულ ათასობით მარკეტ-მაღაზიებზე თუ ბაზრობებზე, სადაც იძულებულ ფასდაკლების აქციებს მიმართავენ, მაგრამ თურმე ესეც მახეა ღარიბი მოსახლეობის (მომხმარებლის) მისატყუებლად, რომ როგორმე გაასაღონ ჩაწოლილი საქონელი. არადა, **მსხვილმა კომპანიებმა რომ მოსახლეობის ხელმისაწვდომ ფასებში გაყიდონ ფასდაკლებული პროდუქტი, განა ორივე მხარე არ ისარგებლებს?** არა, ასე არ უნდათ, იმიტომ რომ, ეს მსხვილი კომპანიები „ნაყროვანების“ ცოდვით არიან დასნეულებულნი!!!

ჯანგირაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქ. ბორჯომი.

დღეს რომ საქართველოში მინიმალური ხელფასი 1500 ლარი იყოს, ეს კარგი მაჩვენებელი იქნებოდა!

საქსტატის მონაცემებით საქართველოში საშუალო ხელფასის მაჩვენებელი 1500 ლარს შეადგენს.

რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები საერთაშორისო კვლევებისა და პროგნოზირების ცენტრის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკა შენგელიამ აღნიშნული საკითხის შეფასებისას განმარტა, რომ 1500 ლარი საშუალო ხელფასი ნიშნავს იმას, რომ შეიძლება მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდეს 100 000 და ვიღაცას 500 ლარი და მათი საშუალო გამოვიდეს 1500 ლარი, მისივე თქმით, იმ შემთხვევაში თუ დღეს საქართველოში მინიმალური ხელფასი 1500 ლარი იქნება, ამ თანხით 2-3-კაციანი ოჯახი თავს ნორმალურად გაიტანს.

„მაჩვენებლებს რომ შევხედოთ, თუ დღეს საქართველოში მინიმალური ხელფასი 1500 ლარს შეადგენდა, ეს იქნებოდა კარგი მაჩვენებელი, სამწუხაროდ პარლამენტმა დღემდე ვერ განსაზღვრა მინიმალური ხელფასის ოდენობა, 100 ლარი მაინც რომ დააწესოს და მაგის ქვემოთ არც კომერციულ და არც კერძო სტრუქტურას არ ჰქონდეს, კარგი იქნებოდა, ეს მაჩვენებელი კი რასაც ხელისუფლება აქვეყნებს, მოსახლეობას ცუდად ხვდება, ყველამ იცის, რომ 1500 ლარით 2-3-სულიანი ოჯახი თვიდან თვემდე თავს გაიტანს, თავის გადასახადებიანად და გაძვირებული პროდუქტიანად. აქედან მოდის ამ ციფრის გაპიარება და შელამაზებული ფორმით გადმოცემა“, – აღნიშნა ნიკა შენგელიამ

ნიკა შენგელიამ ასევე აღნიშნა, რომ საშუალო ხელფასის მიმართულებით თბილისი ლიდერობს და თბილისში საშუალო ხელფასი 1802 ლარს შეადგენს, მისივე თქმით რეგიონები თბილისს, იქნება ეს საშუალო ხელფასის, ინვესტიციების თუ სხვა მიმართულების მაჩვენებელი, საგრძნობად ჩამორჩება.

„თბილისი უკვე ათწლეულია თავკომბალად ჩამოყალიბდა და ყველაფერი, თუ სადმე რამე დიდი ბიზნესები და საწყობებია, დედაქალაქში გადმოდის, შესაბამისად ადამიანები ჩამოდიან და საქმდებიან აქ. შესაბამისად საქართველოში ორი დიდი ცენტრი არის – თბილისი და ბათუმი.

მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომ სამუშაო ადგილები შეიქმნას რეგიონებში და ზოგადად მთლიან საქართველოში, რომ ადამიანს არ უსდებოდეს თბილისში ჩამოსვლა. იყო პერიოდი, რომ მხოლოდ რამდენიმე დღე ჩამოდიოდა ადამიანი, ისიც გასართობად, დღეს მოსახლეობის 80%-ს შემოსავალი არ აქვს, თუ თბილისში არ ჩამოვიდა, პოლიტიკა უნდა ისეთი, რომ რეგიონებში დასაქმებას შეეწყოს ხელი. გარდა ამისა, უნდა მოხდეს ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია, დღეს ადგილობრივ რეგიონებში, ადგილობრივ ბიუჯეტებს უტოვებენ მხოლოდ მიწის და ქონების გადასახადს. უნდა მოხდეს ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია და ისე უნდა წარიმართოს ეს ბიუჯეტი, რომ დასაქმებას შეეწყოს ხელი“, – აღნიშნა ნიკა შენგელიამ.

შენგელიას თქმით დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით მთავრობის პოლიტიკური ნება რომ არ არსებობს, იმიტომ ცხოვრობს ხალხი გაჭირვებულად.

ბიუჯეტის ნახევარი ან 40% თუ მიდის შესყიდვებზე, ზუსტად აქ გვჭირდება სწორი გათვლა, რომ მაგალითად როდესაც ჯარისთვის ყიდულობენ კარტოფილს, კომბოსტოს დ ა ა.შ. ეს კი არ იყოს იმპორტირებული და ამ პროდუქტების შესაძენად ქვეყნიდან კი არ უნდა გაედინებოდეს ფული, პირიქით ეს მოთხოვნა ფერმერებამდე მივიდეს და მათგან შეიძინონ. დააკონტრაქტონ წინასწარ თანხა, მისცენ რომ ამდენი დათესონ და ისე მოამარაგონ საკვებით, ჯარი იქნება ეს თუ ბაგა-ბაღები თუ სხვა, სადაც ფული იხარჯება. ამას ჰქვია ხელშეწყობა. როცა ადგილზე იქნება ეს ბიუჯეტები. ქვეყანაში მშპ-ის ინკლუზიურ ზრდას უნდა შეეწყოს ხელი და არა ისეთ ზრდას, როგორც დღეს გვაქვს ჩვენ“, – აღნიშნა ნიკა შენგელიამ.

თაკო კვაჭანტირაძე



ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ!

2026 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲩᲕᲔᲜ 500 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲔᲢᲠᲙᲣᲑᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ!

„ᲨᲐᲕᲘ ᲖᲚᲕᲘᲡ წყალქვეშა სადენი, რომელიც საქართველოს ბულგარეთთან ან რუმინეთთან დააკავშირებს, დიდი ხანია განხილვის თემაა, უბრალოდ მის რეალობაში მოყვანას, სერიოზული ოდენობის დამატებითი ენერგიის წყარო სჭირდება“, — ამის შესახებ ექსპერტმა **ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ,** რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში, „პროფესიონალები“ ისაუბრა.



მისივე თქმით, საქართველო საკუთარ მოხმარებას ვერ აკმაყოფილებს, შესაბამისად ამ ეტაპზე მთავარი ენერგიის წყაროდ ვერ გამოდგება.

„ეს სადენი შესაძლოა უფრო რეგიონული მნიშვნელობის გახდეს, თუმცა როგორც რეგიონულად, პოლიტიკურად და ტექნიკურადაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ეს ასევე ნახსენები იყო ევროკავშირის და აზერბაიჯანის მემორანდუმშიც. ევროკავშირი აზერბაიჯანს განახლებადი ენერგიის განვითარებაშიც დაეხმარება, აზერბაიჯანს აქვს გეგმები და ამბიციები იმაზე, რომ ოფშორულ კასპიის ზღვის აკვატორიაში განავითაროს ქარის და მზის სადგურებიც“, — აღნიშნა მურმან მარგველაშვილმა.

რაც შეეხება საქართველოზე ზეგავლენას, მარგველაშვილი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში თუ აზერბაიჯანიდან ევროკავშირში გაზის გატარება გაიზრდება ეს საქართველოში იმ იაფი გაზის წილს გაზრდის, რომელსაც დღეს საქართველო მხოლოდ 5%-ს იღებს.

„თუკი ევროკავშირში გაზის გატარება გაიზრდება, ავტომატურად ჩვენ გაგვიზრდის იმ იაფი გაზის წილს, რომელიც ჩვენ ახლა 5% ის ოდენობით ვიღებთ და ეს ჩაანაცვლებს იმ დანაკარგს, რომელიც საქართველოს 2026 წელს ელის. 2026 წლამდე ჩვენ გვაქვს 500 მილიონი მეტრ კუბის ოდენობით დამატებითი გაზის მიღების საშუალება, 2026 წლის შემდეგ ეს გაჩერდება და თუკი დამატებით აზერბაიჯანის მხრიდან მიწოდება 10 მილიარდი გახდება, ეს ამ ჩვენ მოსალოდნელ დანაკარგს ჩაანაცვლებს და შესაძლოა ამან, ჩვენ ენერგეტიკულ უსაფრთხოებას დარტყმა არ მიაყენოს.

ზამთარში ჩვენ გვიწევს რუსული გაზის მიღება, ასევე ზამთარში ჩვენი მოხმარება მკვეთრად იზრდება, 2021 წელს რუსული გაზის მიწოდება სადღაც 15% იყო, იმიტომ რომ აზერბაიჯანიდან საკმაო მოცულობის ტექნიკური საშუალება არ იყო, ხოლო მეორე მილსადენიდან კონტრაქტულად არ გვეკუთვნოდა, ახლა როდესაც ევროკავშირი 1000 კუბურ მეტრზე შემცირების შემდეგ 2000 დოლარს იხდის, ჩვენ კი მომხმარებლისთვის 100 დოლარს, ხოლო თბოსადგურებისთვის 140 დოლარს და ჩვენ გაზს უყაირათოდ მოვიხმართ, ეს არა ეკონომიკურად და გაუაზრებლად ნაფიქრი პოლიტიკაა“.

კითხვაზე თუ რა ძირითად მიმართულებებს მოიცავს საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა, მურმან მარგველაშვილი პასუხობს, რომ ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი განხილვის სტადიაზეა და ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

„ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ განხილვის სტადიაზეა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საიტზე დევს, დოკუმენტი თავისთავად ძალიან ცოტას ნიშნავს, იმ შემთხვევაში თუ მის უკან ჯანსაღი პროცესები არ დგას. რა გამოწვევებია, რა ქმედებებია შესაძლებელი და რომელი უნდა ავირჩიოთ ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო, მაგრამ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი უკვე გვაქვს და მოვახერხეთ, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები, ენერგეტიკული კომპანიები, სექტორი და საჯარო უწყებები ერთმანეთთან დიალოგის რეჟიმში არიან, მუშაობის რაღაც პრეცედენტები შევქმენით და ამან გარკვეული მედები გააჩინა.

ბევრი პრობლემა, რომელიც ენერგეტიკაში დგას, ჩვენ იმ დოკუმენტში ასახული გვაქვს, მე მინდა, რომ მოსახლეობამ, მოქალაქეებმა, ბიზნესებმა და ა.შ. ეს დოკუმენტი მიიღონ სერიოზულად, იმიტომ რომ ჩვენ ზუსტად ის პრობლემები გვაქვს აღწერილი, რომელთა მიმართულებითაც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და იმ შემთხვევაში თუ არ გაკეთა ენერგოუსაფრთხოების, განახლებადი განვითარების, გარემოს დაცვის, ტარიფების საკითხის თუ სხვა მიმართულებით საფრთხე ექმნება. ეს მოდის სისტემური პრობლემიდან, რომ მთავრობას თითქოს ევალება რომ რა რესურსებიც აქვს, მხოლოდ იმით უნდა გააკეთოს ყველაფერი და იგივე პარლამენტი არ ფიქრობს, რომ დამატებითი რესურსებია საჭირო. ახლა პარლამენტში განხილვა გვინდა გავაკეთოთ დ ა იქ აუცილებლად დავაყენებთ ამ საკითხს, რომ არ შეიძლება ასე ინერციით სიარული, რადგან ვერ განვითარდება ჩვენი საზოგადოება, ჩვენ ენერგეტიკიდან ვხედავთ ამას, მაგრამ სამაგიეროდ იგივე მდგომარეობაა სხვა დარგებში, ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება და კონცენტრირებული რესურსები, კონკრეტული ამოცანებისთვის უნდა ხდებოდეს რესურსების გამოყოფა“, — აღნიშნა მურმან მარგველაშვილმა.

ᲗᲐᲙᲝ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ

ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲘᲕᲐᲭᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ?

2022 ᲬᲚᲘᲡ იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11 936.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3 571.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (36.9 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 8 364.9 მლნ. აშშ დოლარს (36.5 პროცენტით მეტია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, 4 793.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.2 პროცენტია.

საქსტატის ინფორმაციით, **2022 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 79.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (502.6 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (421.5 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (409.3 მლნ. აშშ დოლარი).**

2022 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 79.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (502.6 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (421.5 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (409.3 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წლის იანვარ-აგვისტოში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 683.8 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.1 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 490.9 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 13.7 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 371.6 მლნ. აშშ დოლარით (10.4 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2022 წლის იანვარ-აგვისტოში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 940.4 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 11.2 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 872.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 10.4 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 531.4 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.4 პროცენტი).

ᲐᲗᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲗᲘᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზაზე, შუახევის მუნიციპალიტეტში, 10 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს. სარეაბილიტაციო გზის რელიეფი მთიანია და როგორც დასახლებულ და ასევე, დაუსახლებელ ტერიტორიაზე გადის.

რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, გაუმჯობესდება გზის ტექნიკური პარამეტრები, რეაბილიტირდება საგზაო სამოსი, 1 ხიდი, შეკეთდება კიუვეტები და არსებული ხელოვნური ნაგებობები; ცალკეულ მონაკვეთებზე გაგანიერდება გზის სავალი ნაწილი; ახლიდან მოეწყობა ადგილობრივ გზებთან მიერთებები, ეზოში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნები და შეკეთდება მოსაცდელები; მოინიშნება გზის სავალი ნაწილი, განახლდება საგზაო ნიშნები და შემოფარგვლები, რაც უზრუნველყოფს ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობას. რეაბილიტირებული გზა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აკავშირებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონთან, ასევე წარმოადგენს საგზაო კავშირს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფისა და ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზებთან. გზის რეაბილიტაციის პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 11 მილიონი ლარით ფინანსდება.

ᲙᲝᲯᲝᲠᲨᲘ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲦᲓᲒᲐ

ᲓᲐᲑᲐ ᲙᲝᲯᲝᲠᲨᲘ, იუნკერთა ქუჩაზე, სადაც მიმდინარე წლის ივნისში მიწის მასის ჩამოშლამ გზის სავალი ნაწილი დააზიანა, ასფალტის საფარი დაიგო და ტრანსპორტის მოძრაობა სრულად აღდგა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, აღნიშნულ მისამართზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებიც დასრულებულია. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად, ადგილზე გაეცნო.

„დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩაზე გზის ერთი ნახევარი მთლიანად ჩამონგრეული იყო და ავტომობილებისთვის ორმხრივად გადაადგილება პრობლემას წარმოადგენდა. ივლისში კონტრაქტორ კომპანიასთან ხელშეკრულება გავაფორმეთ და ფერდის აღდგენის სამუშაოები დაიწყო. პროექტის ფარგლებში, ფერდი მთლიანად გამაგრდა. საგზაო სამუშაოები დასრულებულია და გადაადგილება ორმხრივადაა შესაძლებელი. ყველა ღონისძიება გატარდა იმისთვის, რომ სამომავლოდ ამ კონკრეტულ გზას პრობლემები არ შეექმნას და უსაფრთხოდ გადაადგილება იყოს შესაძლებელი“, — განაცხადა კახა კალაძემ. იუნკერთა ქუჩაზე თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა უსაფრთხოების მიზნით, ყველა გადაუდებელი სამუშაოს განხორციელება ოპერატიულად დაიწყო. სპეციალისტების კვლევის საფუძველზე, ფერდის გამაგრების სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყო ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანკერები, აშენდა რკინაბეტონის კედელი, გაბიონები და სავალ ნაწილზე საგზაო სამუშაოები სრულდება.



ცხოვრების გზა - სამშობლოსთან ერთად

შრომის, ბრძოლის, სიყვარულის 75 წელი

ეს წერილი **არ** **არის ჩაფიქრებული როგორც საიუბილეო თარიღის მილოცვა, არც იმ გავლილი გზის მიმოხილვაა, რომელიც აღსავსე იყო სიხარულებით და ტკივილებით. შრომით მიღებული შედეგის ხილვით და იმედგაცრუების გულისწყვეტით. ეს წერილი არც წერილობით გადმოცემული მეგობრისთვის მიძღვნილი სადღეგრელოა, რასაც სხვა სიტყვებით აუცილებლად ეტყვიან. აქ უბრალოდ მინდოდა, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ გადაევლო თვალი იმ დიდი და დაძაბული ისტორიისთვის, რაც ოტია სარჩიმელიამ მეოცე საუკუნის მიწურულს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საქართველოსთან ერთად გაიარა.**

გადაევლო თვალი და დაფიქრებულიყო. დაფიქრებულიყო და თავადაც გადაეხედა თავისი ცხოვრებისთვის, თავისი საახლობლოსთვის სადაც აუცილებლად იქნებიან ოტიას მსგავსი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით ღრმა კვალს აჩენენ ჩვენს ისტორიას.

მან ზუსტად ისე გაიარა თავისი 75 წელი, როგორც ჩვენმა სამშობლომ. ყველა წარმატებით, ყველა მარცხით და დღეს მომავლის იმედით შეჰყურებს ყოველი დილის გათენებას. შეჰყურებს იმ მზეს, რომელიც მის მეუღლეს, შვილებს, ახლობლებს ათბობს და კიდევ ერთხელ ახსენებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მას თავისი სათაყვანებელი ქვეყნის, წასული მშობლებისა თუ მეგობრობის წინაშე აქვს აღებული და თავისი ყოველი ნაბიჯით, ყოველდღე პირნათლად ასრულებს.

ეს გზა კი ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში პედაგოგ ვარდიშა რაფავასა და ვეტექიმ შალვა სარჩიმელიას ოჯახში დაიწყო, სადაც 75 წლის წინ ოტია სარჩიმელია დაიბადა.

„სადაც არ უნდა ვყოფილიყავით მე და მამაშენი, შენ და შენი დები სულ თვალწინ მყავდითო“ – დედის ეს სიტყვები დღესაც ჩაესმის ოტიას და თავის დებთან ტალინასთან, მარინასთან და ნანისთან ერთად იმ სიყვარულით არიან, რაც მშობლებმა ბავშვობიდან ჩაუნერგეს.

– ცერზე იდექ დედისთვის და
ცერზე იდექ მამის გამო,
ხეს ფოთოლი მოსწყდებოდა
შენი მეხის ხმის გამგონე,
ცერზე იდექ გაჭირვებულ
კაცის სულის მოქცევისთვის,
სავარცხლები შეიმუსრნენ
შენი გრუზა თმებისაგან.

ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის გური ოტობაიას ეს სიტყვები, რომელიც მან ოტია სარჩიმელიას მიუძღვნა, ზუსტად აღწერს ოტიას შინაგან ბუნებას, რომელიც მის საქმიანობაში ბოლომდე გამოვლინდა.

გამოვლინდა და მდინარე ჩხოუშიას ნაპირზე მორბენალი ბიჭი დღეს პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე, „მშვიდობის ვარსკვლავის“ კავალერი, დიდი ქართული ოჯახის მამა, მზრუნველი მეუღლე, სამეგობროში დაფასებული კაცი და ახალგაზრდებისთვის მაგალითის მიმცემია.

როგორც არ უნდა შევაფასოთ ბატონი ოტიას ცხოვრება, აქ უმთავრესი შტრიხი მის ოჯახს და განსაკუთრებით მეუღლეს, უსათნოეს ქალბატონს ლამარა ღვანია-სარჩიმელიას ეკუთვნის, რომელთან ერთადაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაიარა.

კდემამოსილებით გამორჩეული პედაგოგი, რომელიც ათეულობით წელი ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მოღვაწეობდა, საკუთარ ოჯახში ზრდიდა და საკუთარი შვილების ლუკმას უყოფდა მათ, ვისაც არდადეგებზე თავიანთ ოჯახებში წასვლა არ შეეძლოთ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს მხოლოდ ბავშვებისთვის გაწეული ამაგი არ არის, ეს ის მადლია, რომელიც დედამიწას აბრუნებს და რომლის გარეშეც სიტყვა ადამიანი არაფერს ნიშნავს.

შეუძლებელი იყო ასეთ სიყვარულში აღზრდილი ბავშვები, კარგი ადამიანები არ დამდგარიყვნენ.

* * *

მიმი და მამუკა.

შვილები, რომლებიც დიდ სიყვარულში აღიზარდნენ და რომლებიც ბავშვობიდანვე ეზიარნენ იმ ფესვების ძალას, რომლებზეც დგას ოტია სარჩიმელიას დიდი ოჯახი.

მიმიმ ტრადიციულად გააგრძელა დედის და ბებიის პროფესია. კორექციული პედაგოგიკის განხრით ასპირანტურის დამთავრების შემდეგ სმენადაქვეითებულ ბავშვთა ინტერნატში დედასთან მუშაობდა. თეორიულ ცოდნას პრაქტიკული გამოცდილებაც დაემატა და მიმი სარჩიმელიას წიგნი „დაწყებითი კლასების სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა ნარჩენი სმენის გამოყენება და მისი განვითარება სწავლის პროცესში“, სპეციალისტებში დღესაც ერთ-ერთ წამყვან და აუცილებელ სახელმძღვანელოდ ითვლება.

მამუკამ იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა იუსტიციის მინისტრის თანაშემწედ დაიწყო. შემდეგ იყო ჩუღურეთის რაიონის საგამომძიებლო სამსახურის გამომძიებელი, თბილისის სამმართველოს უფროსი გამომძიებელი. პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ სამეცნიერო მუშაობა განაგრძო. დღეს აკადემიური დოქტორია. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წიგნი „დამნაშავეობის სტატისტიკის აქტუალური საკითხები“, რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ დამწყები იურისტებისა და ამ მიმართულებით მომუშავე მედიის წარმომადგენლებისთვის.

შესანიშნავი შვილიშვილები, რომლებიც ისმენენ ბაბუის მოყოლილ ისტორიებს და ცდილობენ არ შეიმჩნიონ ბებიის ჩუმი, ამაყი ღიმილი.

მამუკას ქალ-ვაჟი ლიზი და ნიკუშა სარჩიმელიები, მიმის ვაჟები მამუკა და დათო ქირიები აუცილებლად ნამდვილი, კარგი ქართველები იქნებიან და თავიანთი წარმატებებით ღირსეულ კვალს დატოვებენ ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

და ზუსტად იმ დღეს, როცა ეს წერილი მზად იყო, ლიზი სარჩიმელია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის წარმატებით დამთავრებს შემდეგ, ლუქსემბურგში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად...

როცა ვუყურებ ოტია სარჩიმელიას განვლილი ცხოვრების გზას, მე-20 საუკუნის მიწურულს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩვენი სამშობლოს გზას ვხედავ. გზას სავსეს ტკივილებით და სიხარულებით, სავსეს იმედგაცრუებებით და წარმატებებით, ეკლითა და ია-ვარდით.

– 90-იანების დასაწყისში ობხს-ში ვმუშაობდი. ვიცოდით, რომ აფხაზებსა და ჩვენს შორის დაძაბული სიტუაცია იყო, მაგრამ ომის დაწყებაზე არც ვფიქრობდით, სამწუხაროდ ომი დაიწყო და მეც გენერალ გულუას დანაყოფში ვიბრძოდი. პირდაპირ ვიტყვი, რომ გარდაუვალი შემთხვევების გარდა ვცდილობდი აფხაზისთვის მიზანში არ მესროლა. რუსები მაქსიმალურად ამარაგებდნენ სეპარატისტებს. ერთხელ ღამის ხედვის დურბინდები ჩაგვივარდა ხელთ, რომლებიც საკმაოდ ძვირადღირებულია. ცხადია რუსების მიწოდებული იყო. თუ მაშინ რუსები შენილბულად გვებრძოდნენ, დღეს უკვე ღიად გვემტერებიან.

ვფიქრობ და ვხვდები, რომ შეუძლებელი იქნებოდა იმ გზის ამაყად გავლა, რომ არა ის დიდი, ძლიერი ფესვები, რომელზეც კარგი ქართველი კაცი ოტია სარჩიმელია იდგა და ეს ფესვები არა მხოლოდ მისი მშობლები და დიდი წინაპრები არიან, ამ ფესვებს სახელად ილია ვეკუა, დავით ჩხიკვიშვილი, ირაკლი ანთელავა, არჩილ ფანცხავა, გივი ჭანუყვაძე, შოთა მესხია, გივი ინწკირველი, მიშა ქურდაძე, ანტიფა რაფავა ჰქვიათ.

ეს ფესვები მისი შვილების კარგი ქართველობით კიდევ უფრო ძლიერდებიან და ახალი სიმაღლეების დასალაშქრად მოუწოდებენ.

ფესვები, რომელთა პირველი ძალა იმ სიკეთემ აგრძნობინა, რასაც ოტია მაია რაფავასა და გოგი გაჩეჩილაძის ოჯახში ხედავდა. ხედავდა, გრძნობდა და ითავისებდა.

დიდი ცხოვრების გზაზე გადატანილმა ქარტეხილებმა საოცრად ერთგული და მოსიყვარულე სამეგობრო ჩამოუყალიბა ოტიას. ამ ხალხმა მასთან ერთად სამშობლოს ყველა ტკივილი, თუ წარმატება ღირსეულად ასწიეს და დღესაც მუდმივად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავლის შესაქმნელად:

ბონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, ჯემალ გახოკიძე, სულხან პაპაშვილი, ზურაბ ჩხაიძე, სოსო ალავიძე, თემურ მურღულია, ვასო დავითაია, გურამ ახალაია, ირაკლი კვაშილავა, გურამ აბსანძე, ოთარ ჭითანავა, ზურა ყურაშვილი, ვახო ჯოხაძე, რეზო დუდუჩავა, რამაზ კვირკვია, ზური ჩიქავა, დათო შენგელია, ბადრი ბარკალაია, მურმან ჯოლოგუა, ლევან ჭედია, ბორია კალანდია, ტარიელ დგებუაძე, ბესო კეიდია, აჩიკო სიმონიშვილი, მანუჩარ ქაჯაია, ლაშა ჯოხაძე, დიმა კაკავა, მამუკა ჩხოტუა, გიგა კორსანტია, ზაზა რაფავა.

ეს იმ ადამიანების მცირე ჩამონათვალია, ვისთან ერთადაც დიდი ცხოვრების გზა განვლო ოტია სარჩიმელიამ, ვისაც მის წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის და პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის თანაშემწის მშვიდი თანამდებობიდან ბობოქარი, ქარტეხლებით აღსავსე ცხოვრებაში წასული ახალგაზრდა, პროფესიონალ სამართალდამცველად ჩამოყალიბდა.

სამსახურში, შრომაში მოსული მეგობრობა სხვაა, მაგრამ უბანში, სამეზობლოში, იქ საიდანაც ყოველ დილით გადიხარ და საღამოს ბრუნდები, სადაც შენი შვილები იზრდებიან, სადაც ლხინსა, თუ ჭირს სხვა, უფრო ღრმა, გულთან ახლოს მფეთქავი დატვირთვა აქვს, სხვაა... ტკბილი, თბილი, იმედიანი დატვირთვა.

ალბათ ასეა ყველა უბანში, მაგრამ ყიფშიძის ქუჩას თავისი პეწი და ლაზათი აქვს.

შეიძლება სიტყვები „პეწი“ და „ლაზათი“ ოდნავ რეტრო გამოთქმად ხმიანდებოდეს, მაგრამ ყიფშიძის ქუჩა თამამდ შეიძლება ითქვას, რომ არის ნამდვილი, ძველი თბილისის და თანამედროვე სიახლეებით აღსავსე სიცოცხლის შეუდარებელი კომპოზიცია, რომელიც გოჩა გორდეზიანმა, კახა ასათიანმა, გელა ზაქარიაშვილმა, გიორგი ბარათაშვილმა, თემურ კვიჟინაძემ, ზაზა ბალანჩივაძემ, დავით ქიმერიძემ, გოგა მახარაძემ, თეიმურაზ და ზაზა ერქომაიშვილებმა, ანდრო მხითარიანმა, ირაკლი ქარჩილაძემ, სოსო ებრალიძემ, სოსო და დავით თავართქილაძეებმა, ირაკლი მიქელაძემ, მერაბ ვეფხვაძემ, ჯემალ ბერიძემ, ალიკო ნარსიამ და დავით კუპატაძემ შექმნეს.

შექმნეს, დღესაც ინარჩუნებენ და მომავალ თაობებს თავიანთი თბილისელობით სამშობლოს სიყვარულით გადასცემენ.

შეუძლებელია, არ მოეფერო ფაქტობრივად ოჯახის წევრებად ქცეულ გოგონებს – ნანა ნოზაძეს, ნინო მეგრელიშვილს, თამარ ურიდიას და ნონა სამხარაძეს, რომლებიც ყიფშიძის ქუჩის პატარა, მყუდრო მაღაზიას ხელმძღვანელობენ და თავიანთი ქართველქალობით, სითბოთი და უბნის ტრადიციების მხარდაჭერით, ყველასთვის საყვარელი ადამიანები არიან.

ასეთ გარემოში გაიარა ოტია სარჩიმელიამ თავისი ბობოქარი ცხოვრება და დღესაც, ამ საპატიო ასაკის მიუხედავად, დიდ ენერგიას და გამოცდილებას ისევ შრომასა და ქვეყნის სამსახურში იყენებს.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, სადაც დაარსების დღიდან მუხლჩაუხრელად შრომობს, ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომლის წარმატებას ისეთი პატრიოტი და მშრომელი ადამიანები უზრუნველყოფენ, როგორებიც არიან კომპანიის დირექტორი ალექსანდრე თევდორაძე, მოადგილეები ნინო ნაროზაშვილი, ბექა ბარბაქაძე, აკაკი მშვიდობაძე, ირაკლი ნაფეტვარიძე, სალომე ვაშაკიძე და გუგა კაკაბაძე, დირექტორის მრჩეველი გია კირთაძე. შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ბრეგაძე, მისი მოადგილე ემზარ თედორაძე და მცხეთა-მთიანეთის ფილიალის ხელმძღვანელი გიორგი გელაშვილი.

წარმატება ჰქონდეს ამ შესანიშნავ გუნდს ქვეყნისათვის ამ უაღრესად მიშვნელოვანი საქმის კეთებაში.

სწორედ ამიტომაა, რომ დღესაც მუხლჩაუხრელად შრომობს პოლიციის პოლკოვნიკი ოტია სარჩიმელია.

მან თავისი შინაარსიანი, დიდი ცხოვრება წიგნებში „მთის ძირიდან მწვერვალამდე“ და „უკან მოხედვის არ მეშინია“ აღწერა, სადაც ნანახი, განცდილი ტკივილები და სიხარულები გადმოსცა.

ოტია სარჩიმელია ჩვენი ქვეყნის ყველა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობს და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ღირსეულ კვალს ტოვებს ახალი ქართული ისტორიის შექმნაში.

გია გაბრიჭიძე

ორფოლოს პოლიგონზე საველე წვრთნა დასრულდა

თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-6 საარტილერიო ბრიგადის 62-ე საარტილერიო ბატალიონმა წვრთნების დასკვნით ეტაპზე შემაჯამებელი საბრძოლო სროლები განახორციელა.

წინასწარ განსაზღვრულ რაიონში ქვედანაყოფმა საარტილერიო საცეცხლე მხარდაჭერით პირობითი მოწინააღმდეგე გაანადგურა. საბრძოლო სროლებში 122 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა QM-70 ტიპის საარტილერიო დანადგარები მონაწილეობდნენ. საველე წვრთნები ოთხ ფაზად ჩატარდა, რომელიც ბატალიონის დონეზე მომზადებას, გადაადგილებას, აღსრულებას და კონსოლიდაციას მოიცავდა. წვრთნების მიზანი ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლება, საბრძოლო ელემენტების ურთიერთშერწყმა და კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა იყო.

საქმე იმიტომ უფრო ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის რუსმა!..

უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრიდან 7 თვის თავზე პუტინი ცუგცვანგის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას ორი გზა ჰქონდა დარჩენილი და ორივე დამღუპველი: ან კაპიტულაცია, რომელიც პირადად მისი და მისი რეჟიმის დაუყოვნებლივი თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა, ან ომის გაგრძელება, ანუ იგივე თვითმკვლელობა, ოღონდ უკვე რუსეთის მკვლელობასთან ერთად. პუტინმა აირჩია მეორე და 21 სექტემბერს რუსეთში „ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია“ გამოაცხადა.



„ნაწილობრივი“?

თუმცა როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ ბავშვსაც კი ესმის, რომ სიტყვა „ნაწილობრივი“ პუტინის განცხადებაში მხოლოდ ფორმალურად — როგორც საკუთარი ხალხის, ისე მსოფლიოს თვალში შერცხვენილი, დამარცხებული, დამცირებული აგრესორის მიერ სახის ოდნავ მაინც შენარჩუნების მცდელობად იყო გამოყენებული.

ეჭვი, რომ ვითომდა ნაწილობრივი მობილიზაცია ნაწილობრივი არ იქნებოდა და რუსეთის 300 000 კი არა, მილიონობით მოქალაქეს შეეხებოდა, 21 სექტემბერს — მისი გამოცხადების დღესვე გაჩნდა. შემდგომში იგი კიდევ უფრო გაამძაფრა იმ ფაქტმა, რომ კრემლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ შესაბამის განკარგულებაში მე-6 პუნქტს პირდაპირ მე-8 მოსდევდა, ხოლო სამართლებრივი ინფორმაციის პორტალზე მე-7 პუნქტი მართალია, ფიგურირებდა, მაგრამ გასაიდუმლოებული შინაარსით. მოგვიანებით სამობილიზაციო კატეგორიებისა და გასაწვევთა რაოდენობის შესახებ ამ პუნქტის შინაარსის განმარტებაზე ჟურნალისტებს უარი განუცხადა პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმაც.

ამ დღეებში კი სოცქსელების რუსულ სეგმენტში უამრავი პუბლიკაცია ქვეყნდება იმის საილუსტრაციოდ, რომ არავითარ „ნაწილობრივ“ მობილიზაციაზე არაა საუბარი და რეალურად, იწვევენ ყველა კატეგორიის მოქალაქეებს. „კომისარიატიდან უკრაინაში წასაყვანად მოგვაკითხეს. ეძებდნენ ჩემს 3 წლის წინ გარდაცვლილ ძმას, რომელიც სიცოცხლეშიც გათავისუფლებული იყო ჯარიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო... ვიტიროთ თუ ვიცინოთ — აღარ ვიცი. ესაა მათი „ნაწილობრივი“ მობილიზაცია?!“ — წერს სოცქსელში ერთ-ერთი მოქალაქე. და მსგავსი პუბლიკაციები არაერთია.

საბაბი

ერისადმი სატელევიზიო მიმართვისას პუტინმა მობილიზაციას „რუსეთის სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით გადადგმული აუცილებელი გადაუდებელი ნაბიჯი“ უწოდა, რაც ვერც საერთაშორისო სამართლის ნორმებში ჯდება, ვერც საღად მოაზროვნე ადამიანის ელემენტარულ ლოგიკაში.

რომელ „სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზეა“ საუბარი? — პლანეტის რომელი სახელმწიფო დაესხა რუსეთს თავს, რომელმა სცადა მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა? შეუძლია ვინმეს დედამიწაზე, გვიჩვენოს რომელიმე ქვეყნის თუნდაც ერთი ჯარისკაცი რუსეთის ტერიტორიაზე? აქვს რომელიმე სახელმწიფოს რუსეთისთვის გამოცხადებული ომი? ან იქნებ ვინმეს სამომავლო განზრახვა მაინც აქვს გაცხადებული, რუსეთს თავს დაესხას და მისი რომელიმე ნაწილი მიიტაცოს? — არც ერთს, დედამიწის ზურგზე არავის! და რამდენიც არ უნდა იყბედოს კრემლის სადეზინფორმაციო პროპაგანდამ თავად რუსეთში თუ მის ფარგლებს გარეთ, ისინი საპირისპიროს ვერასდროს დაამტკიცებენ.

რეალობა, რომელსაც მთელი მსოფლიო უკვე თითქმის შვიდი თვეა, ადევნებს თვალს, ისაა, რომ სწორედ რუსეთია შეჭრილი მეზობელი სუვერენული უკრაინის ტერიტორიაზე „ნაცისტებისგან გათავისუფლებისა“ და სხვა ათასი სრულიად გამოგონილი საბაბით, რომლის არც ერთი თუნდაც მეტ-ნაკლებად სანდო მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს, ხოლო ვითომ „მტკიცებულებები“ მხოლოდ კრემლის პროპაგანდისტების სადეზინფორმაციო ნაშრომებში მოიპოვება.

იგივე აქვს ჩადენილი რუსეთს 2008-ში საქართველოში, რომლის ტერიტორიის 20% აგრესორის მიერ დღემდეა ოკუპირებული, — ეს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ფაქტია. და როგორც რუსეთში, ისე ჩვენს ქვეყანაში მოქმედი პრორუსული ძალების ვერავითარი მცდელობა, ეს დაგვავიწყონ, პუტინს სახე მობანონ და დამნაშავეებად მის ნაცვლად საქართველოს იმჟამინდელი და უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება გამოიყვანონ, ამ რეალობას ვერ გააბათილებს.

პუტინის თვითმკვლელობა და რუსეთის მკვლელობა!!!

რეალური მიზეზი

პუტინის სამარცხვინო ჯარი რომ უკრაინას არათუ თავდაპირველად გამოცხადებულ „სამ დღეში“, არამედ სამ თვეშიც ვერ აიღებდა და რუსეთში რომ სამხედრო მობილიზაცია გარდაუვალი იყო, კრემლმა თვეზე მეტია, გააცნობიერა, მაგრამ პუტინის რეჟიმისთვის ამ საბოლოოდ დამღუპველი გადაწყვეტილების მიღებას ბოლომდე აჭიანურებდა ორი მიზეზით:

1) კრემლში მშვენივრად იცოდნენ: რუსეთის მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი მართალია, მზადაა, გაუთავებლად ისმინოს სადეზინფორმაციო პროპაგანდა და ზოგმა ეს სიცრუე დაიჯეროს კიდეც, მაგრამ არა იმდენად, რომ პუტინის იმპერიალისტურ ზრახვებს საკუთარი და ახლობლების სიცოცხლე შესწიროს, ამიტომაც იარაღი, რომელიც მობილიზაციის ფარგლებში მოსახლეობას დაურიგდება, თავისუფლად შეიძლება, შეტრიალდეს თავად პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ;

2) მობილიზაცია ჩვეულებრივ, ომის შემთხვევაში ცხადდება, ომის გამოცხადება კი კრემლს ძალიან არ უნდოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, რუსეთი ავტომატურად აღიარებდა თავს აგრესორად იმ პირობებში, როცა მისი ჯარი მეზობელი ქვეყნის — უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზეა შეჭრილი. სწორედ ამიტომ კრძალავდა კრემლი 7 თვის განმავლობაში უკრაინაში მიმდინარე ომის ომად მოხსენიებას და „სპეცოპერაციას“ ეძახდა 7-თვიან სასტიკ სისხლისმღვრელ პროცესს, რომელმაც რუსეთის უკვე 50 000-მდე მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა (რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინულ მსხვერპლზე — ასობით მოხუცის, ქალის, ბავშვის წამებაზე, გაუპატიურებასა და ცივსისხლიან მკვლელობაზე, რისი მტკიცებულებაც უკვე ათასობითაა შეგროვებული და პუტინის რეჟიმს საერთაშორისო ტრიბუნალს უქადის).

უკრაინელთა ბოლოდროინდელმა წარმატებულმა კონტრშეტევამ, ათობით ოკუპირებული სოფლის, დაბისა და ქალაქის გათავისუფლებამ, ასევე იმან, თუ როგორი პატივითა და სიხარულით ხვდებოდა რუსეთის დროებითი ოკუპაციისგან გათავისუფლებული ტერიტორიების მოსახლეობა უკრაინულ ჯარს, მნიშვნელოვნად შეცვალა განწყობები დონბასსა და ყირიმშიც, კრემლს პროცესები დააჩქარებინა და პუტინს დრო აღარ დაუტოვა: ან კაპიტულაცია, ან მობილიზაცია აქ და ახლა.

რატომ არ სურს არავის უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების რუსულად აღიარება

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საქმე აქ ძალიან მარტივადაა და კრემლის შინაური თუ გარე პროპაგანდისტების ცრუ „არგუმენტები“ ვერაფერს გააბათილებს: ომის პირობებში ჩატარებული ვერავითარი რეფერენდუმი თუ პლებისციტი ლეგიტიმური ვერ იქნება; გაეროს წესდების მე-2 პუნქტის მე-4 მუხლი სახელმწიფოთა ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას, ანუ ანექსიას კრძალავს.

2014 წელს, რუსეთის მიერ უკრაინული ყირიმის ანექსიის შემდეგ ვენეციის კომისიამ საკითხი განიხილა და გამოიტანა დასკვნა, რომ კრემლის ეს ნაბიჯი უხეშად არღვევს სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, ერთიანი სუვერენიტეტის, შიდა საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო პრინციპებს და რომ ის ე.წ. რეფერენდუმი, რომელიც რუსეთმა მაშინ ყირიმის ანექსიამდე ჩაატარა, არ შეესაბამებოდა დემოკრატიული სამყაროს სტანდარტებს. **„ეს დასკვნები ძალაშია დღესაც და უკრაინის ყველა ოკუპირებულ ტერიტორიას ეხება“,** — განაცხადა ევროპის საბჭოს გენმდივანმა მარია პეიჩინოვიჩ-ბურიჩმა.

ამავე მიზეზით არ აღიარებს საერთაშორისო თანამეგობრობა ცხინვალის რეგიონის რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთთან მიერთების საკითხზე ჩატარებული ე.წ. რეფერენდუმების შედეგებს და არც იმ ე.წ. რეფერენდუმის შედეგები იქნება აღიარებული, რომელიც რუსეთ-ბელარუსის ე.წ. საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანების თემაზე ამასწინათ აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერმა ასლან ბჟანიამ ახსენა.

ეს მათ საყურადღებოდ საქართველოში, ვინც კრემლის პროპაგანდასაა აყოლილი, გაიძახის, „ამდენი მოქალაქე რომ ეხოცება და ქვეყანა თავზე ემხობა ზელენსკის, დამნაშავეა, ომის სასწრაფოდ შესაწყვეტად რუსეთის მოთხოვნას რომ არ აკმაყოფილებს და ტერიტორიების ნაწილს არ თმობსო“.

პუტინის მორიგი ბირთვული მუქარა „ბლეფი არაა“?

21 სექტემბერს, მობილიზაციის გამოცხადებისას პუტინი უკრაინასა და დასავლეთს მორიგ ჯერზე დაემუქრა ბირთვული იარაღის გამოყენებით და იქვე მიაყოლა, „ეს ბლეფი არააო“. პასუხმაც არ დააყოვნა და იმაზე მეტყველებს, რომ პუტინს აშკარად უჯობს, ეს „არაბლეფი“ ამჯერადაც ბლეფად დატოვოს.

ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, მაგრამ ამჯერად უფრო მკაცრად, მსოფლიო ლიდერებმა მიანიშნეს აგრესორი ქვეყნის მმართველს, რომ მისი მხრიდან მსგავსი ნაბიჯი უპასუხოდ არც ერთ შემთხვევაში არ დარჩება და რომ ბირთვულ ომში მოგებულები არ იარსებებენ.

გარდა ამისა, თავად რუსეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ ეს მუქარა სხვა არაფერია, თუ არა პუტინის მორიგი ბლეფი იმ პირობებში, როცა უკრაინაში მისი ჯარის მარცხი უკვე აშკარად გამოიკვეთა: წარმატებული უკრაინული კონტრშეტევის შესაკავებლად რუსეთმა ვერაფერი გააკეთა და ცდილობს, ამას ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარით მაინც მიაღწიოს.

რუს მამაკაცებს პუტინისთვის ბრძოლის „მოტივაციას“ ვერც სტალინისეული ახალი კანონი უქმნით

მობილიზაციის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე, 20 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დაჩქარებული წესით, ერთბაშად სამივე მოსმენით, ერთხმად მიიღო შესწორებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომელშიც ჩაემატა ცნებები „მობილიზაცია“, „საომარი მდგომარეობა“, განისაზღვა 10-წლიანი სასჯელი ტყვედ ნებაყოფლობით ჩაბარებისთვის და 15-წლიანი მობილიზაციისთვის თავის არიდებისათვის.

რუსეთსა და მის ფარგლებს გარეთ ბევრს ენიშნა, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები პრაქტიკულად იმეორებს სტალინის დროინდელ სისხლის სამართლის კოდექსს, მათ შორის — მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებულ შესწორებებს, რომელმაც ომში წასვლისათვის თავის არიდება და ტყვედ ჩავარდნა გაციმბირების გზად აქცია.

ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲯᲘᲣᲢᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲖᲔ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲬᲧᲐᲚᲡ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ემიგრანტების ქვეყანაა. იმიგრაცია, ისტორიულად, ამერიკის შეერთებული შტატების მაცოცხლებელი ძალაა. მარტო მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში, ამერიკაში სხვადასხვა ქვეყნიდან 9 მილიონამდე ადამიანი შევიდა. ამ ბოლო დროს, ქართველებმაც კარგა გვარიანად მოიკიდეს ფეხი. პროცესი გრძელდება, თუმცა, ძალიან გაჭირდა. ქვეყანა დიდია, მაგრამ ყველას ნამდვილად ვერ დაიტევს. არადა, მართლა მთელი მსოფლიო ილტვის ამერიკისკენ, ისინიც კი, ვისაც არ უყვარს და აგინებს. ითვლება, რომ ამერიკა შესაძლებლობების ადგილია, სადაც ადამიანი მალე და ადვილად შოულობს პურის ფულს.



როცა ამერიკის იმიგრაციის ახლანდელ სიძნელეებზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება არალეგალურ მიგრანტთა შემოსევა, რომელთა ნაკადი თვალსა და ხელს შუა იზრდება და, შესაბამასად, მატულობს პრობლემებიც. რესპუბლიკელები და დემოკრატები ამ საკითხზე განსხვავებული აზრისანი არიან. კამათი მათ შორის მძაფრია, და საკითხის გარჩევა კონგრესში მუდმივად იბლოკება. დონალდ ტრამპი, თეთრ სახლში შესულიც არ იყო, პრობლემის მოგვარებას რომ შეუდგა. გეხსომებათ, კედლის მშენებლობა მექსიკისა და ამერიკის საზღვარზე, რომლის უკანონო გადალახვა ჩვეულებრივ რუტინად იყო ქცეული. ტრამპი ახალი საიმიგრაციო რეგულაციების დაკანონებასაც შეეცადა, მაგრამ დემოკრატთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა მყისვე.

რაც შეეხება ბაიდენს, მისი პეზიდენტობის პირველი დღე ტრამპის მიერ ხელმოწერილი კანონების გაუქმებით აღინიშნა, რის გამოც მიგრანტთა პრობლემა ერთი ათად გამწვავდა. ამის გამო, მან რესპუბლიკელთა მკვეთრი საყვედური დაიმსახურა. შედეგად კი, მექსიკიდან საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის შემთხვევები შესამჩნევად გაიზარდა. მდგომარეობა უმძიმესია. შარშან, ამერიკის მესაზღვრეებმა მილიონ ექვსასი ათასი ადამიანი დააკავეს საზღვრის არაკანონიერი გადაკვეთისას. წელს კი, საზღვარზე დაკავებულთა რაოდენობა მილიონ რვაასათასამდე გაიზარდა. რესპუბლიკელთა თვალში, სურათი კატასტროფულია, დემოკრატები შედარებით მსუბუქად აღიქვამენ მდგომარეობას. ასე ამბობენ, რესპუბლიკელები აზვიადებენო. საიმიგრაციო კრიზისის ჯოხი სამხრეთი შტატების ზურგზე ტყდება, ანუ იქ, სადაც რესპუბლიკელები ფლობენ პოლიტიკურ ვითარებას, და თვლიან, რომ მთავრობამ ეს შტატები ბედის და მათ ანაბარად მიატოვა.

კრიზისისადმი ყურადღების გასამახვილებლად, ზოგიერთმა სამხრეთელმა გუბერნატორმა საკმაოდ არაორდინარულ ხერხს მიმართა. ფლორიდის შტატის მეთაურმა, რონ დესანტისმა, მიგრანტებით სავსე რამდენიმე ავტობუსი ფლორიდიდან კუნძულ მართას ვინიარდზე გაუშვა. კუნძული მდიდარ ამერიკელთა კურორტია მასაჩუსეტსის შტატში, რომლიც დემოკრტთა ცნობილი ბუდეა, კენედების ძირძველი ადგილსამყოფელი. ფლორიდის შტატის გუბერნატორის ასეთმა საქციელმა არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა. დემოკრატებმა მწვავედ დაგმეს მისი ქცევა. რესპუბლიკელები კი, მხურვალე ტაშით შეხვდნენ. დესანტისს სხვა გუბერნატორებმაც მიბაძეს. ტეხასის გუბერნატორმა, გრეგ ებოტმაც გაგზავნა მიგრანტებით სავსე რამდენიმე ავტობუსი ჩრდილოეთისკენ. ტეხასიდან, ავტობუსების კოლონა ვაშინგტონში ჩავიდა და ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისის რეზიდენციას მიადგა პირდაპირ. მოგვიანებით, რესპუბლიკელმა გუბერნატორმა მედიას განუცხადა, რომ მან ეს ნაბიჯი მიზანმიმართულად გადადგა, და ადმინისტრაციას საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებისკენ მოუწოდა.

გუბერნატორმა საზოგადოებასაც მიმართა, ოღონდ, ტვიტერით: ჰარისი ამბობს, რომ ჩვენი საზღვარი უსაფრთხოა და უარყოფს კრიზისს. ამიტომ, მიგრანტებს ეზოში ვუგზავნით, რათა ბაიდენის ადმინისტრაცია ვაიძულოთ, საქმეს მიხედოს და საზღვრები დაიცვას. ქალბატონმა ვიცე-პრეზიდენტმა მწვავედ გააკრიტიკა გუბერნატორი და ის მოვალეობის უგულებელყოფაში დაადანაშაულა. ჰარისმა განაცხადა: ეს არის გულგრილი დამოკიდებულება პრობლემის მიმართ. თქვენ, არჩეული ლიდერი, სახიფათო თამაშს თამაშობთ ადამიანთა სიცოცხლესთან.

თუ თვლით, რომ პრობლემა არსებობს, მიიღეთ მონაწილეობა მის გადაჭრაში. მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ამერიკის პრეზიდენტმაც. ჯო ბაიდენმა გუბერნატორები ხალხთან პოლიტიკურ თამაშში დაადანაშაულა. მან განაცხადა: რესპუბლიკელები ჩვენთან ერთად გადაწყვეტილებებზე მუშაობის ნაცვლად, ხალხის სიცოცხლესთან პოლიტიკას თამაშობენ და მათ საყრდენად იყენებენ.

რასაც ისინი აკეთებენ, უბრალოდ, არასწორია. ჩვენ ვმუშაობთ, რომ ყველაფერი უსაფრთხოდ, მოწესრიგებულად და ჰუმანურად მოხდესო. პრეზიდენტმა მოუწოდა რესპუბლიკელებს, უარი თქვან დემონსტრაციულ ქმედებებზე, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და შეცვალონ კანონები. ამერიკელი ექსპერტები კი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მიგრანტთა ბაიდენისეული პოლიტიკა აშკარად ჩავარდა და კორექტირება სჭირდება. ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲯᲘᲣᲢᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲖᲔ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲬᲧᲐᲚᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘ, ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ, ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲡᲐᲐ ᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ Ბ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ
POSTV

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ

„ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ აუცილებელია, რომ აშშ-მა გამოავლინა ლიდერობა და უკრაინას საჰაერო თავდაცვის საშუალებები გადასცა. მინდა, მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ ბაიდენს და კონგრესს დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის, რომელიც უკვე დამტკიცებულია. ჩვენ მივიღეთ „ნასამსი“. ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოება, რათა მოვიზიდოთ ჩვენი უკრაინელები სახლში დაბრუნებისთვის. თუ უსაფრთხოება იქნება, ჩამოვლენ, დასახლდებიან, აქ იმუშავებენ და გადასახადებს გადაიხდიან, მაშინ ბიუჯეტში ხუთი მილიარდი დოლარის დეფიციტი არ გვექნება. ეს ყველასთვის დადებითი იქნება“, — აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

ᲞᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲝᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲝᲡ!..

ᲐᲨᲨ-Ს ᲐᲫᲕᲡ სამოქმედო გეგმა რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა „სიბიესთან“ ინტერვიუში განაცხადა. ბლინკენის თქმით, ბირთვული იარაღის საფრთხეზე ვაშინგტონს ჰქონდა კონტაქტი მოსკოვთან, რადგან მნიშვნელოვანია რუსეთს ესმოდეს, რომ შედეგები უმძიმესი იქნება. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ თუ რუსეთი შეწყვეტს ბრძოლას, ომი დასრულდება, თუ უკრაინა შეწყვეტს, უკრაინა დასრულდება.

„ჩვენ მოვისმინეთ ბევრი უპასუხისმგებლო რიტორიკა ვლადიმერ პუტინისგან, მაგრამ ორიენტირებული ვართ იმაზე, რომ ყველამ ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ამგვარ რიტორიკას. ვლადიმერ პუტინს აქვს ნათელი გამოსავალი ომიდან, რომელიც დაიწყო, რომ დაასრულოს ომი. ბირთვული იარაღის ნებისმიერ გამოყენებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება — რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის, რომელიც იყენებს მას — მაგრამ ასევე მრავალი სხვისთვის. პრეზიდენტმა ბაიდენმა გადაწყვიტა და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა დავეხმაროთ უკრაინელებს დაიცვან თავი. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ სხვა ქვეყნები გავაერთიანოთ რუსეთზე ზეწოლისთვის. ჩვენ ასევე გვსურს, რომ ეს ომი არ გაფართოვდეს“, — თქვა ენტონი ბლინკენმა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ...

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ უკრაინას ტანკებს არ აძლევს, რადგან არ უნდა ომის მასშტაბების გაფართოების პროვოცირება, — ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა „თაიმსთან“ ინტერვიუში განაცხადა. გერმანიის მთავრობის ხელმძღვანელის თქმით, ნატოსა და რუსეთს შორის საბრძოლო მოქმედებები თუ დაიწყება, ეს კატასტროფის მომტანი იქნება.

„ეს ძალიან საშიში ომია. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინას. ჩვენ ამას ისე ვაკეთებთ, რომ არ მივიყვანოთ სიტუაცია რუსეთსა და ნატოს შორის საომარ მდგომარეობამდე, რადგან ეს კატასტროფა იქნება“, — აღნიშნა ოლაფ შოლცმა. გერმანიის კანცლერის განცხადებით, ბერლინი „ნამდვილად ბევრს აკეთებს“ უკრაინის მხარდასაჭერად და გერმანიამ უკრაინას „ძალიან ეფექტური იარაღის უზარმაზარი რაოდენობა“ გაუგზავნა.

თუმცა თუ ბოლო ორი დღის მოვლენებით ვიმსჯელებთ, პუტინს ვერც სტალინისეული კანონები უშველის: მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ რუს მამაკაცებს სამშობლოში ვერც 15-წლიანი სასჯელის მიღების რისკი აკავებს. მეორე დღეა, ისინი მასობრივად ტოვებენ რუსეთს. სოცქსელებსა და დამოუკიდებელ მედიაში უამრავი ფოტო და ვიდეო ვრცელდება, რომელიც მოსაზღვრე ქვეყნებში რუსეთის მოქალაქეთა გაქცევის მცდელობებს ასახავს.

ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲕᲚᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ?

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲐᲜ დაახლოებული წყაროები რუსულ დამოუკიდებელ მედიასაშუალებებთან საუბრისას აღიარებენ, რომ რუსეთის ხელისუფლების ჩანაფიქრით, „რეფერენდუმებმა“ უკრაინული კონტრშეტევა უნდა შეაჩერონ, რადგან „უკრაინელები რუსეთთან მიერთებულ ტერიტორიებზე შეტევას ვერ გაბედავენ“.

უკვე ანექსირებულ ყირიმთან მიმართებაში ეს ღიად დაადასტურა პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა **(„ყირიმი რუსეთის ფედერაციის განუყოფელი ნაწილია და რუსეთის ნებისმიერ ტერიტორიაზე პრეტენზიებს საკადრისი პასუხი მოჰყვებაო“),** ხოლო ლუჰანსკსა და დონეცკთან მიმართებაში — სენატორმა ოლგა კოვიტიდიმ **(„რეფერენდუმების შედეგების გამოცხადების შემდეგ კიევის შესაძლო შეტევები ლუჰანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკებზე აღქმული იქნება აგრესიად რუსეთის წინააღმდეგო“).**

თუმცა როგორც უკრაინელ, ისე რუს ექსპერტებს ნაკლებ სავარაუდოდ მიაჩნიათ, პუტინის გადაწყვეტილება შედეგიანი აღმოჩნდეს და მოსკოვმა უკრაინელთა კონტრშეტევის შეჩერების მიზანს მიაღწიოს.

როგორც საერთაშორისო სამართლის ექსპერტი **ბორის ბაბინი** აღნიშნავს, კრემლი ბლეფს განაგრძობს: **„ბოლო თვეების განმავლობაში მსოფლიო უკვე არაერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ კრემლისა და მისი პროპაგანდისტების მანტრა „რუსული ტერიტორიების ხელშეუხებლობის“ შესახებ ჩვეულებრივი ბლეფია. ეს ეხება არა მარტო ანექსირებულ ყირიმს, არამედ უკრაინის მოსაზღვრე კურსკის, ბელგოროდის, როსტოვის ოლქებსაც. რით უპასუხა მოსკოვმა იქ სამხედრო საწყობებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განადგურებას? — მორცხვი დუმილით!**

შესაბამისად, ახლა ვინმე ძნელად თუ დაიჯერებს კრემლის მორიგ გაფრთხილებებს, „წითელ ხაზებსა“ და მუქარებს — თუნდაც დაკავშირებულს ბირთვულ იარაღთან. აკეთებს რა განცხადებებს დონეცკის, ლუჰანსკის, მელიტოპოლისა და ხერსონის დაგეგმილი ანექსიის თაობაზე, კრემლი დღეს მაქსიმალურად ტრაგიკომიკურად გამოიყურება“.

პოლიტოლოგი **ეკატერინე შულმანი** ე.წ. რეფერენდუმებსა და მობილიზაციის გამოცხადებას საბედისწერო შეცდომად მიიჩნევს: „**გასაგებია, რომ ეს რეფერენდუმები ქაღალდზე დატანილი ვითომ საფუძველი იქნება მობილიზაციისთვის: ვიერთებთ ახალ ტერიტორიებს, შემდეგ უკრაინის ჯარი მათ „თავს ესხმის“ და გამოდის, რომ აგრესორი, ჩვენი ჭკუით, ახლა უკვე უკრაინაა და არა ჩვენ, რაც ჩვენი კანონებით, საფუძველს ქმნის საომარი მდგომარეობისა და მობილიზაციისთვის... მაგრამ არსებობს ერთი „პატარა“ პრობლემა: ტერიტორიების გადმოფორმება და ინტეგრაცია დროს მოითხოვს, ისევე, როგორც მობილიზაცია და რა ჭგონიათ — რომ მთელი ეს დრო უკრაინა ჩვენს მოლოდინში გაინაბება?! დროა, რუსეთის მოქალაქეებმა იზრუნონ თავის სამართლებრივ სტატუსსა და ადგილსამყოფელზე, თორემ ომისგან განსხვავებით, საკუთარი მოქალაქეების ტერორი ჩვენს ხელისუფლებას კარგად გამოსდის და რით დასრულდება ეს ყველაფერი, უკვე დღესაა ნათელი“.**

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის უფროსის მრჩეველი **ალექსეი არესტოვიჩი** კი პუტინის გადაწყვეტილებას უკრაინისთვის „საუკეთესო საჩუქრად“ აფასებს და დარწმუნებულია, რომ რეფერენდუმებსა და მობილიზაციას არავითარი სხვა შედეგი არ მოჰყვება, თავად პუტინის რუსეთში რევოლუციისა და იმპერიის საბოლოო ნგრევის გარდა.

> **„ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘᲐ:**
>
> **1. იმ დაუწერელი საზოგადოებრივი შეთანხმების („ომი მხოლოდ ტელევიზორშია“) რღვევა, რომელზეც იდგა დღემდე პუტინის რეჟიმი;**
>
> **2. მობილიზაციისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, უპირველესად კი იმ უმცროსი მეთაურების არარსებობა, რომლებმაც მობილიზებული ბრბო ჯარად უნდა აქციონ;**
>
> **3. მოტივაციის არარსებობის პირობებში მობილიზებულთა უაღრესად დაბალი ბრძოლისუნარიანობა;**
>
> **4. მობილიზებულთა შორის ომის ფარულ მოწინააღმდეგეთა დიდი რაოდენობა. ამიერიდან ეს იქნებიან არა უბრალოდ ადამიანები, რომელთაც პუტინი სძულთ, არამედ შეიარაღებული პირები, რომლებიც ემტერებიან პუტინს...**

დიდხანს ვფიქრობდი, ეყოფოდათ თუ არა „გონიერება“, ჩაედინათ ეს იდიოტიზმი მობილიზაცია-რეფერენდუმების სახით — და ჩაიდინეს, გაამართლეს ჩვენი ყველაზე ოპტიმისტური იმედები! ეს უზარმაზარი საჩუქარია ჩვენთვის: იმპერიალისტური ომის ვადების სულ მცირე, ნახევარი ან ერთი წლით შემცირება და ამავდროულად თავად რუსეთში სამოქალაქო ომის ალბათობის მკვეთრი ამაღლება“ — წერს არესტოვიჩი.

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“

რაფაელ ჩიმიშკიანი



საუკუნემდე ცოტა დააკლდა, თუმცა უკვდავების ბინადარი სიცოცხლეშივე გახდა 93 წლისა.

ზნეკეთილი, იუმორის საოცარი გრძნობით დაჯილდოებული თბილისელი კაცი, რასაც ხაზს ყოველთვის სიამაყით უსვამდა, ქართველთა — ბერიძეების ღირსეული სიძე — ასეთად დაგვამახსოვრდება ფიცარნაგის რაინდი, რკინასთან და ყოველგვარ უკეთურობასთან უკომპრომისოდ მებრძოლი რაფაელ ჩიმიშკიანი.

სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი შტანგისტთა სწორუპოვარ სამამულო სკოლას, რომელიც შანიძემ, კახიაშვილმა, ასანიძემ და ტალახაძემ მოგვიანებით რანგით აკადემიამდე აღაზევეს.

სამშობლოდან ძალოსნობაში პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს ჰელსინკიში ტრიუმფის 70-ე წლისთავს განსაკუთრებულად ვულოცავდით. აღარაფერს ვამბობთ მსოფლიოს 11-გზის რეკორდსმენობაზე, პლანეტის, ევროპისა და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონობაზე. ტიტულებთან ერთად არც პრესტიჟული სპორტული პრიზები და სამთავრობო ჯილდოები მოჰკლებია, მაგრამ ძია რაფო მაინც თვითონ გახლდათ ადამიანი — საჩუქარი, რომელიც საზოგადოებაში ხალისსა და იმედს თესავდა. ამიტომაც უყვარდა ყველას.

თუმცა, რატომ წარსულ დროში? — ასეთ ბუმბერაზ ათლეტებსა და პიროვნებებს დავიწყება არ უწერიათ. ნათელი და სანთელი, საფიცარი ქალაქის ერთგულო შვილო!

„სრ“ სპორტის რედაქცია

...მისმა სპორტულმა მიღწევებმა რაფაელ ჩიმიშკიანი ქართული სპორტის ნამდვილ ლეგენდად, მსოფლიო ძალოსნობის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად აქცია.

გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებ ბატონი რაფაელის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ირაკლი ღარიბაშვილი

◎ ოვალური ბურთი

„შავმა ლომმა“ რაგბი ევროპის სუპერთასის მესამე ტურში რუმინულ „ვულვზს“ ორის წილ 7 ლელო გაუტანა, ბონუსით, 43:21 დაამარცხა და აღმოსავლეთ კონფერენციის სათავეში კომფორტული სხვაობით მოკალათდა.

მიმდინარე სეზონში ქართული ფრენჩაიზისთვის ეს მეორე გამარჯვება იყო, ერთი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. ტრავმებთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, რუმინელებთან „შავმა ლომმა“ საუკეთესო თამაში აჩვენა, თუმცა იყო შეცდომებიც და სტუმრებმა ქულები სწორედ ამ შეცდომებისა და დისციპლინის პრობლემების ხარჯზე დააგროვეს.

თამაშის წინ გუნდს კაპიტანი მერაბ შარიქაძე დააკლდა, შეხვედრის დებიუტში კი ლაშა ლომიძემ ტვინის შერყევა მიიღო და ის თორნიკე კახოიძემ შეცვალა. მასპინძლებს თამაშის დასალაგებლად გარკვეული დრო დასჭირდათ. უკეთესის სურვილს ტოვებდა ფეხით თამაში, სხვა კომპონენტებში კი ქართველები მეტოქეს ჯაბნიდნენ და შედეგიც ლოგიკური დადგა.

საწყის წუთებში „ვულვზი“ უპირატესობას ფლობდა და მიჰაი მურეშანმა ორი ჯარიმა გაიტანა. მათ შორის ერთი ჯარიმა ლუკა მატკავამ შეასრულა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. მე-17 წუთზე მასპინძლებმა პირველად შეძლეს შეტევაში თამაშის დალაგება, ხელდახელ იერიშს მეტოქის 22-ში ფორვარდების მიძალებები მოჰყვა, მერე ბურთი კვლავ ხაზზე გავიდა, აკა ტაბუცაძემ დემე თაფლაძეს ოფლოუდი ამოუგდო, ის ორ მცველს შორის გაძვრა და ლელო გაიტანა. რადგან კონტაქტის არეში ჩვენი უპირატესობა გამოიკვეთა, 24-ე წუთზე შალვა მამუკაშვილმა 5-მეტრიან წყვეტილთან ჯარიმა გაითამაშა, მეორე დარტყმა სანდრო ქოიავამ განახორციელა და მცველმა მისი შეჩერება ველარ მოახერხა. მატკავამ ამჯერად გარდასახა.

„შავი ლომი“ აბურთავდა, ოვალს ფრთებზე კარგად ზლიდა და თითქმის ყველა ჯერზე ახერხებდა უპირატესობის ხაზის გადაკვეთას. თამაშს კარგად ამწვავებდა მირიან მოდებაძე. 32-ე წუთზე, ერთ-ერთი ასეთი შეტევისას ტაბუცაძეს ლელოს გასატანად სანდრო თოდუა გაჰყავდა, მაგრამ დეან აკერმანმა გადაცემა ჩაჭრა, ის კონტრშეტევაზე ვერავინ შეაჩერა და ცენტრში გატანილ ლელოს ზუსტი გარდასახვა მოჰყვა. მასპინძლებმა მალევე დაიბრუნეს ინიციატივა, შერკინებამ ცენტრში ჯარიმა გამოიმუშავა, მოლმა დაახლოებით 15 მეტრი თითქმის სირბილით დაფარა და შალვა მამუკაშვილის ლელო მატკავამ გარდასახა. ზედ შესვენების წინ კარის წინ დავჯარიმდით და ტაიმი მხოლოდ 3 ქულის სხვაობით, 19:16 მოვიგეთ.

მეორე ტაიმში „შავმა ლომმა“ თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და ხელდახელ ბურთაობით მეტოქეს პრობლემები მრავლად შეუქმნა. დებიუტშივე მატკავამ ხაზი გაჭრა და ბურთი მიხეილ გაჩეჩილაძეს შეაყოლა, 22-ში ფორვარდების დარტყმების შემდეგ თენგიზ პერანიძემ ოვალი ხაზზე გაიტანა და ორი პასის შემდეგ ტაბუცაძემ ის ალამთან დაამიწა. მასპინძლებმა შეტევები გააგრძელეს, მოდებაძემ ხაზი მორიგ ჯერზე გაჭრა და რუმინელი მორაგბე ჯარიმისთვის სინბინით დაისაჯა. „შავმა ლომმა“ შერკინება ირჩია, „ვულვზი“ სამჯერ დაჯარიმდა და საჯარიმო ლელოთი დაისაჯა, ბურჯმა კი ყვითელი ბარათი მიიღო და მეტოქე 13 კაცის ამარა დარჩა.

62-ე წუთზე ჩვენი ნახევრიდან დაწყებული ხელდახელ შეტევა ლამაზი ლელოთი დასრულდა. კახოიძემ და გიორგი ჩხარტიშვილმა ერთმანეთის მიყოლებით გაჭრეს ხაზი, ბურთი მარცხნივ ჩათამაშდა და თოდუას ოფლოუდის შემდეგ ლუკა ივანიშვილმა მორიგი ლელო გაიტანა. 69-ე წუთზე მწვავე შეტევისას კახოიძე კარის წინ ორ მბოჭავს დაუსხლტა და ლელო ძელებსშუა გაიტანა, მიხეილ ბაბუნაშვილმა კი გარდასახა — 43:16.

საპასუხოდ აკერმანმა ხელით შეტევისას კიდევ ერთხელ ჩაჭრა გადაცემა და 80-მეტრიანი კონტრშეტევა ლელოთი დაასრულა, მაგრამ ამით „შავი ლომის“ ბონუსს საფრთხე არ დამუქრებია — 43:21.

ჩვენი გუნდი სამი თამაშიდან 12 ქულით პირველ ადგილზეა და 6-ით უსწრებს „თელ ავივ ჰითს“. 5 ქულა აქვს „ვულვზს“ და მას მხოლოდ ქულით ჩამორჩება „ბათუმი“. რაგბი ევროპის სუპერთასზე ახლა სამკვირიანი შესვენებაა და შეხვედრები 15 ოქტომბერს განახლდება.

◎ მძლეოსნობა

კაცი-რეკორდი

სახელოვანმა კენიელმა მორბენალმა ელიუდ კიპჩოგემ კიდევ ერთხელ დაამყარა მარათონში მსოფლიო რეკორდი და ეს ისევ ბერლინში მოახერხა. მან კლასიკური დისტანცია (42 კმ და 100 მეტრი) 2 საათსა და 01.09 წუთში გაირბინა და თავისივე რეკორდს, რომელიც ბერლინშივე, ოთხი წლის წინათ დაამყარა, ნახევარი წუთი მოაკლო.

37 წლის კიპჩოგეს კარიერაში 17 მარათონზე აქვს ნარბენი და აქედან 15 მოიგო. მათგან ორჯერ ოლიმპიადებზე გაიმარჯვა და 10-ჯერ კი დიდ მარათონებზე. მან თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარა — საშუალოდ კილომეტრს სამ წუთზე ნაკლებში გადიოდა. პეისმეიკერთა გარდა, კიდევ რამდენიმე მორბენალმა შეძლო დასაწყისში ასეთ ტემპში სირბილი.

კიპჩოგემ ნახევარი დისტანცია საათზე ნაკლებში გაირბინა და ამ მომენტისთვის შორს ჩამოიტოვა შარშანდელი გამარჯვებული, ეთიოპიელი გუიე ადოლა. სამაგიეროდ, მეორე ეთიოპიელმა, ანდამლაკ ბელიჰუმ ტემპს გაუძლო და კიპჩოგეს მიჰყვა. თუმცა, 27 კილომეტრის შემდეგ, ისიც ჩამორჩა. ტემპი კიპჩოგემაც ოდნავ შეამცირა, მაგრამ საკმარისი ძალა შემორჩა იმისთვის, რომ ბოლო 500 მეტრზე სპრინტერულ რეჟიმში ერბინა. ბრანდენბურგის კარიბჭესთან არსებული ფინიში მან პირველმა გადაკვეთა.

◎ ვისწავლოთ!

სერხიო სკარიოლოს სემინარი

საძართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პარტნიორი Junior NBA განაგრძობს სამწვრთნელო სემინარების ონლაინ-პროგრამას. ონლაინ-სემინარს ამ დღეებში ლეგენდარული მწვრთნელი სერხიო სკარიოლო ატარებს.

სერხიო სკარიოლო უკვე წლებია ესპანეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია, რომლის თავკაცობითაც გუნდმა ევროპის ჩემპიონის ტიტულის ოთხჯერ — 2009, 2011, 2015 და 2022 წლებში, ხოლო 2019 წელს მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსის მოპოვება შეძლო. ამასთანავე, 2018 წელს, იგი Toronto Raptors-მა, ასისტენტ მწვრთნელის პოზიციაზე დანიშნა და სწორედ მისი დახმარებით, გუნდის ისტორიაში პირველად NBA-ის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ონლაინ-სემინარზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელიც სარგებლობს აპლიკაცია OWQLO-თი.

◎ ინტერნეტ-მოამგე

ყველაზე ძვირადღირებულნი

პორტალმა Sporico-მ შეადგინა 2022 წლის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელთა სია, რომლის პირველ პოზიციაზე საფრანგეთის „პსჟ“-ს თავდამსხმელი კილიან მბამე გავიდა.

ინტერნეტ-რესურსის მონაცემებით, 2022-23 წლების სეზონში, ახალგაზრდა ფეხბურთელი 125 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. მათ შორის, 105 მილიონი დოლარი — ესაა სპორტსმენის სუფთა ხელფასი, დანარჩენი 20 მილიონი დოლარი კი სასპონსორო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი იქნება.

ამრიგად, მიმდინარე საფეხბურთო სეზონის ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშეთა ხუთეული ასეთია:

1. კილიან მბაპე („პსჟ“) — 125 მილიონი დოლარი (105+20);

2. კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“) — 113 მილიონი დოლარი; (53+60);

3. ლეონელ მესი („პსჟ“) — 110 მილიონი დოლარი (62+48);

4. ნეიმარი („პსჟ“) — 91 მილიონი დოლარი (56+35);

5. მოჰამედ სალაჰი („ლივერპული) — 39,5 მილიონი დოლარი (24,5+15).

ისიც უნდა ითქვას, რომ კილიან მბაპეს საბაზრო ღირებულება Transfermarkt-ის მონაცემებით, 160 მილიონ ევროს შეადგენს.

ოთარ ტურაბელიძე



მეუღლე ნათელა ქიმერიძე, შვილები გაგა და თამარ შურღაიები, შვილიშვილები ვინცენტ და პაოლო შურღაიები მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ომარ შურღაია

დაკრძალვა ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, საბურთალოს სასაფლაოზე, უნივერსიტეტის ქ. №6. გამოსვენება საპანაშვიდე სასახლიდან, 14 სთ-ზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები და პირადად გაზეთის მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და პუბლიცისტი, შესანატრი კეთილშობილებით და თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნება

ომარ შურღაია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის მეუღლეს, ცნობილ ჟურნალისტს ნათელა ქიმერიძეს, შვილებს, შვილიშვილებს და დიდ სამეგობრო-სანათესაოს.

ანზორ თოთაძე ოჯახით იუწყება მეგობრის

ომარ შურღაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გამოთხოვება რაფაელ ჩიმიშკიანთან



ამქვეყნიური მარადიულობიდან (ოლიმპიური ჩემპიონები მარადიული ჩემპიონები არიან) კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი გადასახლდა ზეციურ მარადიულობაში — 93 წლისა გარდაიცვალა საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში, ჭეშმარიტად კოლორიტული პიროვნება **რაფაელ ჩიმიშკიანი.**

ჩვენი რაფოს სპორტული მონაგარი არათუ ცალკეული, ერთად აღებული რამდენიმე ქვეყნის საერთო სპორტულ მიღწევებსაც გადაწონის. ოლიმპიურ ოქროს მედალს ემატება ორ-ორგზის მსოფლიოს ჩემპიონობა და ვიცე-ჩემპიონობა, ექვსგზის ევროპის და ათგზის საბჭოთა კავშირის პირველობაში გამარჯვება. მსოფლიოს 11 რეკორდი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი რაფაელ ჩიმიშკიანი იყო ღირსების ორდენის, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენების, სპორტის რაინდის წოდების კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რაფაელ ჩიმიშკიანის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახს და ახლობლებს, ძალოსნობისა და საერთოდ ქართული სპორტის სამყაროს.

გურამ საღარაძე,

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს რაფაელ ჩიმიშკიანის ოჯახს, სანათესაოსა და მრავალ მის ახლობელს, შესანიშნავი ადამიანის, ჩვენი ყოფილი თანამშრომლის, მუდამ პუნქტუალური და მოწესრიგებული პიროვნების

რაფაელ ჩიმიშკიანის

გარდაცვალებას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მთამსვლელთა ხსოვნის საღამო

2022 წლის 30 სექტემბერს, პარასკევს, 15:00 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში (თბილისი, რუსთაველის გამზირი 52, III სართული) გაიმართება 50 წლის წინ (2.10.1972) ხდის ხეობის მწვერვალების (სტეფანწმინდის რაიონი) ტრავერსის დროს დაღუპული ახალგაზრდა მეცნიერი მთამსვლელების — **ზაურ მიქაძის, გურამ ლოგუას** და **ლომერ ჯინჭველაშვილის** ხსოვნის საღამო.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მთის კომისიისა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინისტური კლუბის თაოსნობით ახალგაზრდა სამეულის ხსოვნის დღეს იწყება ქართული სპორტული ალპინიზმის სათავეებიდან (1923) მოყოლებული მთებში დაღუპულ მთამსვლელთა მემორიალის, მუზეუმის, ხსოვნის ფილმისა და ალბომი-მატიანეს შექმნის სამუშაოები. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი აზრი, წარმოადგინოთ პირად არქივში დაცული მასალები, რელიკვიები, საქმიანი წინადადებები.

საკონტაქტო: 595 333-552, 599 743-670, 577 536-291:

ელექტროფოსტა: arab.av@gmail.com: giorgiunioon@gmail.com.

საორგანიზაციო კომიტეტი

ეს არის ქვეყანა, რომელშიც უნდა ჩახვიდე

BLOOMBERG-ი საქართველოს ტურისტულ პოტენციალს 6 მილიონზე მეტ ადამიანს გააცნობს

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მედიაპლატფორმაზე — Bloomberg-ზე ახალი პროექტი დაიწყო. მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, Bloomberg-ი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ორ ვიდეორგოლს იღებს, მომზადდება სამი სტატია, რომელიც სოციალურ ქსელებში განთავსდება.

პროექტის ფარგლებში, Bloomberg-ის გადამღები ჯგუფი თბილისში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მუშაობს.

ერთკვირიანი გადაღებები საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმს (ჰელი-სქი, თრექინგი და კლდეზე ცოცვა), მღვიმეებსა და კანიონინგს, კულტურას (ფოტოგრაფია, არქიტექტურა, მუსიკა, მოდა) მოიცავს. გადამღები ჯგუფის წევრებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე თამაზ იორაშვილი შეხვდა.

„ჩვენ ორ კლიპს ვიღებთ Bloomberg მედიისთვის. ჩვენი აუდიტორია ძირითადად ბიზნესის, ფინანსებისა და აღმასრულებელი სფეროს წარმომადგენლებს მოიცავს, აგრეთვე ახალგაზრდულ აუდიტორიასაც. ჩვენ მათთვის რეკლამას ვამზადებთ საქართველოს შესახებ. ეს არის ქვეყანა, რომელშიც უნდა ჩახვიდე. ამ სარეკლამო კამპანიის თემაა - საქართველო დაფარული მარგალიტი. ყველამ ვიცით ფრანგული ალპების, შვეიცარიაში თხილამურებით სრიალის შესახებ, მაგრამ ჯერ არ გვინახავს საქართველო და Bloomberg-ის მაყურებელს სწორედ ეს უნდა ვაჩვენოთ. Bloomberg-ი ამ კამპანიაში მონაწილეობს, ის საქართველოშია და იკვლევს ამ მშვენიერ ქვეყანას“, — ამბობს Bloomberg-ის კრეატიული დირექტორი, ქალამ იანგსონი. კამპანიის ფარგლებში, საქართველოს შესახებ სარეკლამო ვიდეორგოლებსა და სტატიებს ჯამში 6 მილიონზე მეტი მაყურებელი და მკითხველი ეყოლება მიზნობრივ ტურისტულ ბაზრებზე: **დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ესტონეთში, ლიეტუვაში, ლატვიაში, საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ქუვეითში, ბაჰრეინში, კატარში, ომანსა და ისრაელში. კამპანია საქართველოში მაღალმხარჯველი ტურისტული ნაკადების მოზიდვას შეუწყობს ხელს.**

ყოველგვარი რეკლამა გაზეთის ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB76015360-20100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს უახლესი ისტორია მინისერიალებში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან ერთად, მრავალსერიიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის მიზნით, კონკურსს აცხადებს. კონკურსის პირობებსა და ვადებზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა და მისმა პირველმა მოადგილემ, კინოცენტრის ხელმძღვანელმა, კახა სიხარულიძემ, ბრიფინგზე ისაუბრეს.

როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, კონკურსი პროცედურის პირველი ეტაპია, რომელიც გამოცხადდა და სცენარის შექმნას, განვითარებას ისახავს მიზნად. მინისტრის ინფორმაციით, მეორე ეტაპი კი გულისხმობს პირველი ეტაპის შედეგად შექმნილი სცენარების მიხედვით კინოწარმოების დაფინანსებას 2023 წლის დასაწყისიდან.

საკონკურსო პირობების მიხედვით, მინისერიალის თემატიკა უნდა ეხებოდეს: საქართველოს უახლეს ისტორიას (XX-XXI საუკუნე), ქართული სპორტის ისტორიას ან ქართული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციას.

საკონკურსო პირობების თანახმად, კონკურსი ცხადდება სულ მცირე სამ და მაქსიმუმ ხუთსერიიანი ფილმისთვის. თითოეული ეპიზოდის (სერიის) ხანგრძლივობა დაახლოებით 45-60 წუთი უნდა იყოს. საუკეთესო სცენარის შესაქმნელად გამოიყოფა მაქსიმუმ 50 000 ლარი. ერთი ეპიზოდის (სერიის) ბიუჯეტი მაქსიმუმ 10 000 ლარია. უშუალოდ მინისერიალის წარმოებისათვის კი, 2023 წელს, დაფინანსების სახით გამოყოფილი იქნება სულ მცირე 500 000 და მაქსიმუმ 1 000 000 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პროდიუსერს, რომელიც არის ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი. წარმოების დაფინანსების მიზნით, 2023 წელს აუცილებელი იქნება, რომ პროექტში მონაწილეებმა, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოადგინონ ტელევიზიისაგან ან დისტრიბუტორისაგან (კინოდარბაზი, ციფრული პლატფორმა) ფინანსური თანამონაწილეობის ან თანამშრომლობის დასტური.

საკონკურსო განაცხადები მიიღება 2022 წლის 26 სექტემბრიდან 2022 წლის 21 ოქტომბრის 17:00 საათამდე.

პოპულარული სერიალი გრძელდება

ტელესერიალი „გვირგვინი“ ტელეეკრანებს ნოემბერში დაუბრუნდება. შოუს მეხუთე სეზონის პირველი სერიის ნახვას მაყურებელი სტრიმინგსერვისზე 9 ნოემბერს ნახავს. დედოფალ ელისაბედის როლს იმელდა სტონტონი ასრულებს, პრინცესა დიანას ელიზაბეტ დებიკი განასახიერებს, პრინცს ჩარლზს კი დომინიკ ვესტი.

მანამდე ცნობილი გახდა იმ მსახიობების ვინაობა, ვინც მეექვსე სეზონში პრინცი უილიამისა და კეიტ მიდლტონის როლებს შეასრულებენ, თუმცა გადამღებმა ჯგუფმა შოუზე მუშაობა დედოფალ ელისაბედ მეორის გარდაცვალების გამო შეაჩერა. „გვირგვინი“ Netflix-ის ისტორიული დრამაა, რომელიც ბრიტანეთის სამეფო ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. შოუს პრემიერა 2016 წელს შედგა. სერიალს არაერთი ჯილდო, მათ შორის „ოქროს გლობუსი“, „ემი“ და „ბაფტა“ აქვს მოპოვებული.

დიდი ფეხბურთიდან - დიდ კინოში

ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ასტერიქსის და ობელიქსის“ ახალ ნაწილში გამოჩნდება.

ფილმის თრეილერი შვედმა ფეხბურთელმა თავად გააზიარა. პოპულარული კომედიის მორიგ ნაწილში იბრა რომაელი ლეგიონერის – ანტივირუსის როლს შეასრულებს. ეს „მილანის“ თავდამსხმელის პირველი კინოროლია.

დეზერტირობისთვის 10 წლით პატიმრობა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის მიხედვითაც, საომარი მდგომარეობის დროს საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე უარის თქმა რუსეთში სამიდან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით დაისჯება.

ამასთან, საომარი მდგომარეობის დროს მეთაურის ბრძანებების შეუსრულებლობა დაისჯება ორიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. იგივე კანონი დეზერტირობისთვის ან სამხედრო მოსამსახურეების მიერ გაწვევის შემთხვევაში სამხედრო სამსახურში გამოუცხადებლობა 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პუტინის მიერ ხელმოწერილი კანონის მიხედვით, მობილიზაციის, საომარი მდგომარეობის, საომარი მოქმედებების ან სამხედრო კონფლიქტის დროს სამხედრო სამსახურში უფროსის მიმართ ძალადობისთვის პირს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მობილიზაციის მოწინააღმდეგე სამხედრო კომისარი დაჭრა

რუსეთში, ირკუტსკის ოლქში სამხედრო კომისარ ალექსანდრე ელისეევს ესროლეს. ინფორმაციას რუსული მედია, ირკუტსკის გუბერნატორ იგორ კობზევზე დაყრდნობით ავრცელებს. იგორ კობზევის განცხადებით, ირკუტსკის ოლქის ქალაქ უსტ-ილიმინსკში ახალგაზრდა მამაკაცმა სამხედრო აღრიცხვის ოფისში ცეცხლი გახსნა. გუბერანტორის თქმით, დაიჭრა სამხედრო კომისარი ალექსანდრე ელისეევი, რომელიც რეანიმაციაშია გადაყვანილი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მედიის ცნობით, ახალგაზრდა მამაკაცის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ღამისთევით ყაზახეთის კინოთეატრებში...

რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ქვეყანაში გამოცხადებული მობილიზაციის გამო, ყაზახეთში გადავიდნენ, კინოთეატრში ათევენ ღამეს. რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნიდან წასული რუსებისთვის ყველაზე პოპულარული ადგილი ყაზახეთია.

ამასთან, ყაზახეთის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, 20 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე დასავლეთ ყაზახეთში რუსეთის დაახლოებით 9 ათასი მოქალაქე ჩავიდა. საზღვარზე საკმაოდ გრძელი რიგებია და ყაზახეთის სასაზღვრო ქალაქებში საცხოვრებლის პოვნა ძალიან გართულებულია. გავრცელებული ინფორმაციით, რუსებმა თავი კინოთეატრებს შეაფარეს.

„ხალხი რეალურად შეშინებული იყო. მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ ღამის გასათევ ადგილს ვერ პოულობდნენ. ერთი დარბაზი გავათავისუფლეთ“, – განაცხადა ერთ-ერთი კინოთეატრის დირექტორმა მედიასთან საუბრის დროს.

დალუპულები „ყველა ცოდვისგან განიწმინდებიან“

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა მორიგი გამაოგნებელი განცხადება გააკეთა.

პატრიარქმა კირილმა ე.წ. ნაწილობრივ მობილიზაციაზე საუბრისას განაცხადა, რომ რუსი ჯარისკაცები, რომლებიც „სამშობლოს წინაშე ვალს იხდიან, უკრაინის ომში კვდებიან და თავს თანამოქალაქეებისთვის სწირავენ, ყველა ცოდვისგან განიწმინდებიან“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 29 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8286; ევრო - 2.7618
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1298;
100 რუბლი - 4.8336; თურქული ლირა - 0.1537;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6685;
1000 სომხური დრამი - 6.8473.

ამინდი 28 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+9	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge